

**მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი  
ბამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები**

- I. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და საქმეთა  
გაჭიანურების პრობლემა
- II. საქმეთა გაჭიანურებისა და მოსამართლეთა გადატვირთვის  
მიზეზები
- III. პრობლემის მოგვარების გზები

## სარჩევი

### თავი I. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემა

1. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სამართლებრივი ასპექტები - გვ. 1
2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრაქტიკული ასპექტები - გვ. 2
3. საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებული მდგომარეობა და წარსულის გამოცდილება - გვ.4

### თავი II. საქმეთა გაჭიანურებისა და მოსამართლეთა გადატვირთვის მიზეზები

1. ობიექტური ფაქტორები - საქმეთა მატების დინამიკა - გვ.5
2. სუბიექტური ფაქტორები - მოსამართლეთა სამტატო რაოდენობის ჯერ შემცირება და შემდეგ არათანმიმდევრული გაზრდა - გვ.8
3. მოსამართლეთა უფლებამოსილებების ჯერ გაგრძელება და შემდეგ ერთბაშად შეწყვეტა - გვ. 11
4. რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა - გვ. 14
  - 4.1. მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსების არათანმიმდევრულად ჩატარება - გვ. 15
  - 4.2. სპეციალიზირებული კოლეგიების შექმნა - გვ. 20
  - 4.3. საგამომიებო და წინასასამართლო კოლეგიის შექმნა და გაუქმება - გვ. 21
5. დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების პრაქტიკა - გვ. 23
6. განსხვავებული აზრის დევნა და ჯანსაღი კონკურენციის მოსპობა - გვ. 27
7. დასკვნა - გვ. 29

### თავი III. არსებული პრობლემის მოგვარების გზები

1. სასამართლო სისტემის მიერ პრობლემის პრევენციისა და გამოსწორების გზა - გვ. 30
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხედვა არსებული პრობლემების მოგვარების თაობაზე - გვ. 31
3. პრობლემების მოგვარების აუცილებლობა სისტემური ცვლილებების გზით - გვ. 34
4. პრობლემის მოგვარების კონცეფცია

## I.თავი

### მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემა

#### 1. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სამართლებრივი ასპექტები

დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონზე, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება „პრაქტიკული და ეფექტური“ უნდა იყოს და არა მხოლოდ „თეორიული“. შესაბამისად, სახელმწიფოს მოეთხოვება შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ნებისმიერი ადამიანისათვის უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიცავს საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლებას, რაც თავის მხრივ სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და გონივრულად სწრაფ მართლმსაჯულებაზე აისახება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 პარაგრაფით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას ანიჭებს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლებას კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით სამოქალაქო საქმეებზე „გონივრული ვადის“ ათვლა იწყება საქმის წარმოების დაწყების, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე „ბრალდების“ წაყენების მომენტიდან.<sup>1</sup>

სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განუხილველობა თავის მხრივ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას იწვევს. საქმეში „ციმერმანი და შტაინერი შვეიცარიის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ

---

<sup>1</sup> CASE OF BUCHHOLZ v. GERMANY 1981, 6 May 1981

სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ მისცეს სასამართლოებს შესაძლებლობა იმოქმედონ 6.1 მუხლის მოთხოვნების დაცვით, მათ შორის „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვით. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან საქმის განხილვის გაჭიანურების მიზეზი იყო სასამართლოების გადატვირთულობა, ადგილი ჰქონდა 6.1 მუხლით დაცული საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის მოთხოვნის დარღვევას იმდენად, რამდენადაც სახელმწიფომ არ მიიღო ადეკვატური ზომები ამ სიტუაციის გამოსასწორებლად.<sup>2</sup> ამდენად, ევროპული სასამართლო საქმეთა გადატვირთულობის მიზეზით საქმის განხილვის გაჭიანურებას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად აფასებს.

## 2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრაქტიკული ასპექტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლებასაც მოიცავს, რაც თავის მხრივ სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის უზრუნველყოფასა და სასამართლოს ეფექტიანობაზე აისახება.

ქვეყანაში სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობაზე არაერთი პრაქტიკული ასპექტია დამოკიდებული.

ჩვენი მოქალაქეები, ადვოკატები, ფიზიკური და იურიდიული პირები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები დიდი ხანია, თავიანთი საქმიანობის შემაფერხებელ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობას მიიჩნევენ. მათი მოსაზრებით, იმისათვის რომ ქვეყანაში კერძო სექტორი განვითარდეს და უცხოური ინვესტიციების შემოვიდეს, სწრაფი, ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის არსებობაა აუცილებელი. სასამართლო დავების განხილვის წლების განმავლობაში გაჭიანურება ერთის მხრივ ინვესტიციების განხორციელების შემაფერხებელი ერთ-ერთი გარემოებაა, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანებში ერთგვარი უსამართლობისა და დაუცველობის განცდას ამკვიდრებს, რაც საბოლოო ჯამში უკმაყოფილების მუხტის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

---

<sup>2</sup> CASE OF ZIMMERMANN AND STEINER v. SWITZERLAND, 13 July 1983

უკანასკნელი საერთაშორისო კვლევების მიხედვით, სასამართლოს ეფექტიანობის კუთხით საქართველოს მაჩვენებელი შესამჩნევლად გაუარესდა<sup>3</sup>. აღნიშნული მაჩვენებლის გაუარესების უმთავრესი მიზეზი ქვეყანაში დროული მართლმსაჯულების არარსებობა შეიძლება იყოს. ამასთან, სასამართლოს ეფექტიანობის კომპონენტში მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რამდენად არის სასამართლო სისტემა მზად გონივრულ ვადებში დაიცვას ადამიანის უფლებები და მათი უფლებების დარღვევის წინააღმდეგ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

მიგვაჩნია, რომ სასამართლო სისტემის გადატვირთულობის პრობლემის მოუგვარებლობა საქართველოში საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად აისახება, რაც ქვეყანაში კერძო ინვესტიციების კლებას გამოიწვევს. ქვეყანაში კერძო ინვესტიციების ზრდისათვის სწორედ მართლმსაჯულების სისტემის სტაბილურობაა განმსაზღვრელი.

ვფიქრობ, სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებაა, სასამართლო სისტემაში გაატაროს ისეთი რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ პირდაპირ აისახება:

1. მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობასა და მოქალაქეთა სამართლიანობის განცდაზე;
2. ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე;
3. სახელმწიფოს იმიჯზე.

ამდენად, სწრაფ და ხარისხიან მართლმსაჯულებას, როგორც სამართლიანი სასამართლოს განმსაზღვრელ ერთ-ერთ ინდიკატორს, სამართლებრივთან ერთად უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. სამართლიანი სასამართლოს უფლება ფიქციაა თუ მისი ცხოვრებაში რეალიზება გონივრული, დარღვეული უფლების აღდგენისათვის ადეკვატური ვადის დაცვით არ განხორციელდა. თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს უფლების დაცვისა და აღდგენის დროული მექანიზმების არსებობას, სამართლიანი სასამართლოს არათუ უფლება, არამედ იდეაც კი, განუსაზღვრელ დროში იკარგება.

---

<sup>3</sup>მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველოს სასამართლოს დამოუკიდებლობა 24 ადგილით გაუარესდა; <http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018>

### 3. საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებული მდგომარეობა და წარსულის გამოცდილება

დღეის მდგომარეობით ქართული მართლმსაჯულება საზოგადოებისათვის სათანადოდ ხელმისაწვდომი არაა. განსაკუთრებით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მხარეები გადაწყვეტილებას წლების განმავლობაში ელოდებიან. ამ მხრივ ურთულესი მდგომარეობაა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და გორის საქალაქო სასამართლოებში. საქართველოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა უფრო თეორიულია, ვიდრე პრაქტიკული რეალობა.

ხშირად მოქალაქეებს რამოდენიმე წელი უწევთ ლოდინი მხოლოდ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისთვის. ამასთან არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა დასრულებულ საქმეებზე მხარეები დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ოთხი, ხუთი და მეტი თვის დაგვიანებით იღებენ. არსებული პრობლემა იმდენად უდავო ფაქტია, რომ მისი კიდევ უფრო დრამატიზირება ზედმეტად მიგვაჩნია და ამ პრობლემის, როგორც ფაქტის აღწერას, ქვემოთ წარმოგიდგინთ. ამ სიტუაციას შევაფასებდი, როგორც ერთგვარ კრიზისს, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს.

მოსამართლეთა არანორმალური დატვირთვა და საქმეთა გაჭიანურება, სიახლეს არ წარმოადგენს ქართული რეალობისთვის. ამ პრობლემით განპირობებული კრიზისი 2005 წელსაც წარმოიშვა, როდესაც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სასამართლოში გატარდა ერთგვარი რეფორმები. კერძოდ, გაუქმდა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო. ერთი ხელის მოსმით ჩატარებულმა, რეფორმამ გამოიწვია ის, რომ თითოეულ მოსამართლეს განსახილველად 300 – 400 საქმე აღმოაჩნდა. მაშინ ამ მდგომარეობის დაძლევის გზად საქმეების „კონვეიერული“ სისწრაფით განხილვა შეირჩა, რამაც საბოლოოდ ძალიან უარყოფითი გავლენა მოახდინა მართლმსაჯულების ხარისხზე და მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

წარსულის გამოცდილება გვასწავლის, რომ არალოგიკური სისწრაფით საქმეთა განხილვას სხვა ღირებულებები, მათ შორის, მართლმსაჯულების ხარისხი და საზოგადოების ნდობა ეწირება.

ამიტომ ჩვენს წინაშე მდგარი იდენტური პრობლემის მოსაგვარებლად, წარსულში დაშვებული შეცდომების განმეორება აღარ გამოგვადგება. საჭიროა არსებული მდგომარეობის მიზეზების დადგენა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება,

რომელიც სისტემის ეფექტიან მუშაობასა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის უზრუნველყოფას გრძელვადიანი პერსპექტივით მოაგვარებს.

## II. თავი

### საქმეთა გაჭიანურებისა და მოსამართლეთა გადატვირთვის მიზეზები

ყოველ პრობლემას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პრობლემის მოგვარების სწორი გზების პოვნა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. წარმოდგენილი დოკუმენტის II თავი მიზნად ისახავს, როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ასევე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას. თავის მხრივ, ეს გააადვილებს პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, რაც მოცემულია წარმოდგენილი დოკუმენტის III თავში.

#### 1. ობიექტური ფაქტორები - საქმეთა მატების დინამიკა

საქმეთა გაჭიანურების ტრადიციული რეალობის განსაკუთრებული მაგალითია თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული მდგომარეობა. ამ სასამართლოში არსებული დატვირთვის პირობებში საქმეთა განხილვა ხშირ შემთხვევაში 2 წელს აჭარბებს, მაშინ როდესაც საპროცესო კანონმდებლობით, საქმეთა განხილვისათვის 2-დან 5 თვემდე ვადაა დადგენილი.

საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურების ობიექტური მიზეზს სამოქალაქო საქმეთა რაოდენობის მატება წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით 2012 წლის შემდეგ შეინიშნება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქმეთა მატება ყველა სამართლის დარგს თანაბრად არ ეხება.

ობიექტური სურათის წარმოჩენისა და თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ ზოგადად საერთო სასამართლოების სისტემაში და საკუთრივ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმეთა ნაკადის მატებისა და კლების დინამიკას 2011 წლიდან 2016 წლის ჩათვლით.<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> სტატისტიკური ინფორმაციის წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები მითითებული წლების მიხედვით;

**მთელი საქართველოს მასშტაბით საერთო სასამართლოების სისტემაში შემოსულ  
საქმეთა  
მოძრაობის დინამიკა**

საანგარიშო პერიოდი	სამოქალაქო საქმეები	ადმინისტრაციული საქმეები	სისხლის სამართლის საქმეები
2011 წელი	33 546	16 378	14 584
2012 წელი	33 279	8 909	9 120
2013 წელი	35 443	8 748	13 794
2014 წელი	42 248	9 246	15 390
2015 წელი	51 825	20 010	13 898
2016 წელი	69 624	17 384	14 398

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს 2011-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით სამოქალაქო საქმეებმა 107.5%-ით იმატა, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებმა ჯერ საგრძნობლად იკლო, ხოლო ბოლო წელს 6.1%-ით გაიზარდა. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, მათი რაოდენობა 1.3%-ით შემცირდა.<sup>5</sup>

**თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოსულ საქმეთა  
მოძრაობის დინამიკა**

საანგარიშო პერიოდი	სამოქალაქო საქმეები	ადმინისტრაციული საქმეები	სისხლის სამართლის საქმეები
2011 წელი	15 343	10 251	6453
2012 წელი	17 313	5 144	4357
2013 წელი	19 388	5 328	6808
2014 წელი	23 249	5 348	7605
2015 წელი	28 282	10 417	5936
2016 წელი	40 340	9 512	5848

<sup>5</sup> რაოდენობის ცვლილების ამგვარ დინამიკას, რა თქმა უნდა თავისი მიზეზები აქვს, რომელიც ცალკე შესწავლისა და ანალიზის საგანს წარმოადგენს. ხოლო ჩვენს ამოცანას, მოცემულ შემთხვევაში ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დადგენა და ანალიზი წარმოადგენს;



თუ მოცემულ სტატისტიკურ ინფორმაციას გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ 2016 წელს 2011 წელთან შედარებით სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის კლება შეინიშნება.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა მიმართულებით 2012, 2013 და 2014 წლებში საგრძნობი კლებაა, მხოლოდ 2015 და 2016 წლებში შეინიშნება კვლავ მატება, რომელიც თითქმის 2011 წლის ნიშნულს უახლოვდება.

საგულისხმოა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა მატების დინამიკა, რომელიც 2011 წლის შემდეგ ინტენსიურად იზრდება და 2016 წლისათვის 40 340 საქმე შეადგინა, რაც 2011 წელთან შედარებით თითქმის 25 000, ხოლო 2015 წელთან შედარებით 12 000 საქმით არის გაზრდილი.<sup>6</sup>

შესაძლოა სამოქალაქო დავების მნიშვნელოვანი მატება ვინმემ ახსნას სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზეზით, რაც იმთავითვე მცდარი მოსაზრებაა, რადგან გაჭიანურებული წარმოება, წლების მანძილზე ხელმიუწვდომელი მართლმსაჯულება და ხშირ შემთხვევებში საზოგადოების მხრიდან სამართლიანად მართლმსაჯულების არაეფექტიანობის გამო გამოთქმული უკმაყოფილება, საწინააღმდეგოზე მეტყველებს. სწორედ საზოგადოებრივი ნდობაა ინდიკატორი, რომ გაკეთდეს შეფასება სასამართლო სისტემის აკვარგიანობაზე. თავად დავების განხილვის გაჭიანურებული პროცესები ერთის მხრივ იწვევს საქმეთა სასამართლო სისტემაში დაგროვებას, ხოლო მეორეს მხრივ დროში არაგონივრულად გახანგრძლივებული წარმოება ასრულებს ახალი დავების წამოწყებისათვის სტიმულატორის როლს. საქმე იმაშია, რომ მართლმსაჯულების არაეფექტურობა მას უკარგავს დავების პრევენციის დანიშნულებას. დროული და სამართლიანი წარმოება ყოველი პირისათვის განსაზღვრავს ობიექტური შედეგების დადგომის გარდაუვალობას, მაგრამ თუ მართლმსაჯულება დროში დაკარგული პროცესია, ყოველ არაკეთილსინდისიერ მხარეს მოსალოდნელი პასუხისმგებლობის დადგომის მიმართ მორიდების განცდას უკარგავს. ეს კი ახალისებს არაკეთილსინდისიერებას და კონკრეტულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მოვალეები თავს არიდებენ საკუთარი ვალდებულებების ნებაყოფლობით, სასამართლო დავების გარეშე შესრულებას. ამ ვითარებაში კრედიტორი იძულებულია დავა წამოიწყოს სასამართლოში. კრედიტორის ეს ნაბიჯი სრულადაც არ ნიშნავს, რომ ის

---

<sup>6</sup> წარმოდგენილი დინამიკა მხოლოდ საანგარიშო პერიოდში შემოსული საქმეებს ასახავს. რეალურად, 2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახულებულად 69 624 საქმე იყო.

განსაკუთრებული ნდობის გამო მიმართავს სასამართლოს. მან კარგად იცის, რომ სასამართლოში დავა დროში გაწელილი, რამდენიმე წლიანი პროცესია, მაგრამ მას საკუთარი უფლების დაცვის სხვა ლეგიტიმური მექანიზმი არ გააჩნია. ამდენად, უნდა ითქვას, რომ მოსამართლეთა სიმცირე და მათი რაოდენობისადმი არაადეკვატურად მომრავლებული სასამართლო დავები ნაყოფიერი ნიადაგია ახალი დავების წარმოშობისა და სასამართლოს კიდევ უფრო გადატვირთვისა.

მარტივად, რომ ავხსნათ: არაეფექტური სასამართლო და გაჭიანურებული დავები კიდევ უფრო ხელს უწყობს სასამართლოს გარეთ სამართლებრივ ურთიერთობებში არაკეთილსინდისიერების ფაქტორის ზრდას, რაც კიდევ უფრო ზრდის სასამართლოსადმი მიმართვიანობას. 2016 წელში თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთბაშად შემოსული 40 340 საქმე ამის დასტურია და ის სულაც არ ადასტურებს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

## **2. სუბიექტური ფაქტორები - მოსამართლეთა საშტატო რაოდენობის ჯერ შემცირება და შემდეგ არათანმიმდევრული გაზრდა**

ბუნებრივია, საქმეთა მატების ობიექტური ფაქტორით გამოწვეული პრობლემისათვის, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, ადეკვატურად და ლოგიკურად უნდა ეპასუხა. ეს კი მოსამართლეთა მატებითა და საქმეთა ნაკადის მართვით იყო შესაძლებელი, რაც ჩვენი აზრით არათანმიმდევრულად განხორციელდა, კერძოდ:

1. 2011 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა საშტატო რაოდენობა განსაზღვრული იყო 338 ერთეულით, რაც 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 259 საშტატო ერთეულამდე - 79 მოსამართლით შეამცირა<sup>7</sup>. აღნიშნული გადაწყვეტილება ყოველგვარ ლეგიტიმურ ლოგიკას მოკლებული იყო, ის მართლმსაჯულების ინტერესებს არ შეესაბამებოდა და შესაბამისად, მიზნად ისახავდა, ხელისუფლების ცვლილების პარალელურად,

---

<sup>7</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 2 აგვისტოს N1/141 გადაწყვეტილება; 2012 წლის 16 ოქტომბრის N1/175 გადაწყვეტილება; 2012 წლის 30 ოქტომბრის N1/274 გადაწყვეტილება; 2012 წლის 19 ნოემბრის N1/328 გადაწყვეტილება

სასამართლო სისტემის ჩაკეტვასა და ახალი კადრებით სასამართლოს დაკომპლექტების ხელშეშლას.

2. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ სასამართლო რეფორმის პირველი ტალღის ფარგლებში განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების ახლებური წესი. შესაბამისად განახლდა საბჭოს შემადგენლობა.

3. 2013 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილით მომართეს, რომლითაც გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საქმეთა სიმრავლესთან დაკავშირებით. ამ პერიოდში ერთ მოსამართლეზე საშუალოდ 200 საქმე მოდიოდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებმა სასამართლო კორპუსსა და მოსამართლე წევრებს პრობლემის სწრაფად მოგვარების სამი გზა შევთავაზეთ:

1. მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვა (რეზერვი თავის დროზე იქცა სასამართლოს მმართველი ჯგუფისადმი დაუმორჩილებელი მოსამართლეების დასჯის მექანიზმად და ასეთი მოსამართლეების სამოსამართლო საქმიანობიდან ჩამოცილების საშუალებად); 2. თბილისის საქალაქო სასამართლოებში მივლინებით გადასროლილი მოსამართლეების უკან დაბრუნება (მივლინება ასევე გამოიყენებოდა დაუმორჩილებელი მოსამართლეების დასჯის მექანიზმად); 3. მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა - შტატების დამატება.<sup>8</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთმა არამოსამართლე წევრმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე, მოვითხოვეთ საბჭოს რიგგარეშე სხდომის გამართვა სწორედ აღნიშნული საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტისათვის. თუმცა, მოსამართლე წევრებმა უგულბებლად არამოსამართლე წევრთა მხრიდან სხდომის მოწვევის კანონით გათვალისწინებული უფლება და სხდომაზე არ გამოცხადდნენ.<sup>9</sup>

2014 წლის 11 ივნისს არამოსამართლე წევრების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და რეზერვიდან სამ მოსამართლეს მიეცა სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა; თბილისის

<sup>8</sup> იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმი;

<sup>9</sup> შენიშვნა: შემდგომში, 2014 წლის 21 მაისის სხდომის ელექტრონული ოქმი, რომლითაც მოსამართლე წევრთა მიერ კანონის დარღვევა ფიქსირდებოდა, დაზიანდა და მის გამოყენება შეუძლებელი გახდა. საგულისხმოა, რომ ამგვარ ფაქტებს არაერთგზის ჰქონდა ადგილი

საქალაქო სასამართლოში სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან მივლინებული იქნა ოთხი მოსამართლე; თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა საშტატო რაოდენობა გაიზარდა თვრამეტი ერთეულით. კერძოდ, ამ სასამართლოს სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს დაემატა ექვს-ექვსი საშტატო ერთეული.<sup>10</sup>

აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა გარკვეულწილად, მცირე დროით შეაფერხა სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის კიდევ უფრო განვითარების დინამიკა. უნდა ითქვას, რომ სათანადო გულისხმიერების პირობებში, დაშვებული შეცდომების და განზრახ განხორციელებული ქმედებების არ არსებობის შემთხვევებში, შესაძლებელი იქნებოდა საქმეთა რაოდენობის კიდევ უფრო ეფექტიანი მართვა.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2012 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილებიდან გასულია თითქმის ხუთი წელი. ამ დროის მიუხედავად, უმნიშვნელოდ გამოიყურება საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა მატების ტენდენცია. კერძოდ, დღეს მთელს საქართველოში არსებობს კვლავ 338 მოსამართლის საშტატო ერთეული, ხოლო რეალურად დანიშნულია 284 მოსამართლე. ანუ მთელი ხუთი წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შტატების მიხედვით მოახერხა და აღადგინა 2012 წლის დეკემბრამდე არსებული მდგომარეობა. ხოლო სასამართლო სისტემას რეალურად შემატა მხოლოდ 57 მოსამართლე.

5. განსაკუთრებით საგულისხმოა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა მატების დინამიკა. 2016 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, იქ სადაც საქმეთა ყველაზე დიდი მატება გვექონდა მოსამართლეთა რაოდენობა 2012 წელთან შედარებით მხოლოდ 6 ერთეულით გაიზარდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიაში, სადაც საქმეთა რაოდენობის კლებას ჰქონდა ადგილი, 18 მოსამართლე დაემატა. დღეის მდგომარეობით კი სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უფლებამოსილებას 38, ხოლო სისხლის სამართლის კოლეგიაში 41 მოსამართლე ახორციელებს.

---

<sup>10</sup> იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 11 ივნისის N1/53 გადაწყვეტილება

**ცხრილის სახით წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის ცვლილების დინამიკას:**

საანგარიშო პერიოდი	სამოქალაქო საქმეთა კოლეგია		ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია		სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია	
	შტატი	რეალურად	შტატი	რეალურად	შტატი	რეალურად
2011 წელი	25	27	20	14	20	23
2012 წელი	25	28	20	19	20	21
2013 წელი	25	28	18	18	27	29
2014 წელი	31	30	24	22	33	34
2015 წელი	33	32	26	23	35	32
2016 წელი	44	33	27	22	45	39

დასკვნა: ბუნებრივია, თუკი საქართველოს მასშტაბით სამოქალაქო საქმეთა მატების ტენდენცია 2012 წელთან შედარებით გაცილებით დიდია, საშტატო ერთეულების მატებაც და მოსამართლეთა დამატებაც ამ გამოწვევის პროპორციულად და ლოგიკურად უნდა განხორციელებულიყო, რაც საბჭომ არ განახორციელა. ამის მიზეზად პირადად მე სისტემის ჩაკეცილობის მცდელობა მიმაჩნია, რათა არ მომხდარიყო სისტემის ახალი კადრებით შევსება.

**3. მოსამართლეთა უფლებამოსილებების ჯერ გაგრძელება და მერე ერთბაშად შეწყვეტა;**

საქმეთა გადატვირთულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მოსამართლეთა უფლებამოსილების გაგრძელების კუთხით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არათანმიმდევრული მოქმედებები წარმოადგენს.

2013 წელს<sup>11</sup> საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, 25 მოსამართლეს, ხოლო 2014 წელს 8 მოსამართლეს გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა მათ წარმოებაში არსებულ საქმეების დასრულებამდე<sup>12</sup> (აღსანიშნავია, რომ ეს პრაქტიკა 2012 წლამდე თითქმის არ არსებობდა). აღნიშნული ვითარება ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს საერთო სასამართლოების საქმიანობაში. კერძოდ, საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკის

<sup>11</sup> იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 8 აპრილის, 24 აპრილის, 22 ივნისის, 30 სექტემბრის, 23 დეკემბრის გადაწყვეტილებები მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ;

<sup>12</sup> იხ. 2015 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებები მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ;

მიხედვით არ ხდებოდა მოსამართლეთა დატვირთულობისა და განსახილველ საქმეთა განხილვის ეტაპების ინდივიდუალური შეფასება და ყველა მოსამართლეს უგრძელდებოდა უფლებამოსილების ვადა. სწორედ ამიტომ, მოსამართლეებზე, რომლებსაც გაგრძელებული ჰქონდათ უფლებამოსილება, ვერ ხდებოდა ახალი საქმეების განაწილება. ამასთან, ვინაიდან თანამდებობა ვაკანტურად არ ითვლებოდა, ამ ადგილებზე კონკურსიც ვერ ცხადდებოდა. გარდა ამისა, ამ პერიოდში, ადგილი ჰქონდა მოსამართლეთა გარკვეული ნაწილის მიერ საქმის განხილვის განზრახ გაჭიანურებას იმის გამო, რომ თავიანთი უფლებამოსილების ვადა გაეგრძელებინათ. შესაბამისად, მივიღეთ სიტუაცია, როდესაც უფლებამოსილება გაგრძელებული მოსამართლეებს აღარ ეწერებოდათ განსახილველად ახალი სარჩელები, ამ თვალსაზრისით ხსენებული მოსამართლეები აკლდებიან სასამართლო კორპუსს, ყოველი ახალი დავა შემცირებულ სასამართლო კორპუსს კიდევ უფრო უზრდის დატვირთვას, ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუძლებელი ხდება უფლებამოსილება გაგრძელებული მოსამართლეების საშტატო ერთეულებზე კონკურსის გამოცხადება და მოსამართლეების დანიშვნა, რომლებსაც სრულფასოვნად გაუნაწილდებოდათ განსახილველად ახალი სარჩელები.

2014 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარედგინა ჩემს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადება<sup>13</sup>. ამ საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მიზანი გახლდათ მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების დარეგულირება, მათ შორის, პროექტი ითვალისწინებდა საქმის განხილვის დასრულებამდე უფლებამოსილება გაგრძელებული მოსამართლის საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობას. ამასთან, მოსამართლეს უფლებამოსილება უგრძელდებოდა მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელზეც ის გადაწყვეტილების მისაღებად სათათბიროდ იყო გასული ან საქმის განხილვა პაექრობის ეტაპზე იყო მისული. მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა უგრძელდებოდა საქმის დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ მოსამართლის თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შერჩეული ახალი მოსამართლის გამწესებისა.

ამდენად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების პროექტით შეთავაზებული დებულებები ერთის მხრივ უზრუნველყოფდა დავის განხილვის ბოლო ეტაპზე არსებული საქმეების დასრულების უწყვეტობას, ხოლო მეორეს მხრივ ახდენდა

---

<sup>13</sup> იხ. საკანონმდებლო წინადადების სახით საქართველოს პარლამენტში გადაგზავნილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს კანონის პროექტი "საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

არაკეთილსინდისიერების პრევენციას და მოსამართლეს უზღუდავდა დავის გადაწყვეტის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლებლობას.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული პროექტის მიღება ვერ მოხერხდა.

2015 წლის 23 ივლისის სხდომაზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაცია<sup>14</sup>, რომელმაც კიდევ უფრო დაამძიმა მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლით გამოწვეული პრობლემები. ამ რეკომენდაციის მიხედვით მოსამართლეებს თავიანთი ათწლიანი უფლებამოსილების ბოლო 2 თვის განმავლობაში ახალი საქმეები განსახილველად არ გადაეცემოდათ.

აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება იმ ფონზე მოხდა, როდესაც 2015 წლის ბოლოს უფლებამოსილების ვადა საერთო სასამართლოების ათეულობით მოსამართლეს ეწურებოდა. ამ რეკომენდაციით საბჭომ საერთოდ უარი თქვა ორგანული კანონის იმ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებაზე, რომლითაც შესაძლებელი იყო კონკრეტული მოსამართლისათვის თავის წარმოებაში არსებულ საქმეთა დასრულებამდე უფლებამოსილების ვადის გაგრძელება.

საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციის ამოქმედების შემდეგ, 2015 წლის 21 სექტემბრის საბჭოს სხდომაზე, მოსამართლის უფლებამოსილება შეუწყდა ყველა იმ მოსამართლეს, რომლებსაც 2015 წლის 22 სექტემბერს უმთავრდებოდა უფლებამოსილების ვადა და ასევე თანამდებობიდან გათავისუფლდა ყველა ის მოსამართლე, რომელსაც წარმოებაში არსებული საქმეების დასრულებამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით გაგრძელებული ჰქონდათ უფლებამოსილების ვადა. გათავისუფლებული მოსამართლეების საერთო რაოდენობამ 34 მოსამართლე შეადგინა. შესაბამისად, მათ წარმოებაში არსებული საქმეები, განსახილველად სხვა მოსამართლეებს გადაეცათ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოსამართლეებს, რომელთაც ათწლიანი სამოსამართლო უფლებამოსილება ეწურებოდათ, ბოლო 2 თვის განმავლობაში ახალი საქმეები განსახილველად არ გადაეცემოდათ. შესაბამისად, საბჭოს არათანმიმდევრული მოქმედებით საერთო სასამართლოების მოსამართლეები მნიშვნელოვნად დაიტვირთნენ. ისედაც არასაკმარისი და ამჯერად კიდევ უფრო შემცირებული რაოდენობის მოსამართლეები ადამიანური შესაძლებლობების ზღვარს მიღმა აღმოჩნდნენ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლის გამო. შექმნილ

---

<sup>14</sup> იხ. 2015 წლის 23 ივლისის N1 რეკომენდაცია;

ვითარებაში კი საქმეთა განხილვის ვადების დაცვა ბუნებრივად გამოირიცხა და საქმის განხილვის გაჭიანურება გარდაუვალ მოვლენად იქცა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არგუმენტი, რომ მოსამართლეები არაკეთილსინდისიერად, განზრახ აჭიანურებდნენ საქმის განხილვას და ამის გამო გაჭიანურების მიზეზების ინდივიდუალურად შესწავლის გარეშე ყველას შეწყვეტოდა უფლებამოსილება, დაუსაბუთებელია, ვინაიდან საბჭოს უნდა ემოქმედა დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მისთვის მინიჭებული კომპეტენციით და თითოეული მოსამართლის ქცევის ინდივიდუალურად შესწავლის შედეგად გამოვლენილი არაკეთილსინდისიერების ფაქტების შესაბამისად ყოველი კონკრეტული მოსამართლის მიმართ ეზრუნა დისციპლინური სამართალწარმოების ლოგიკური დასასრულისათვის. ამის მიუხედავად, საბჭოს უმრავლესობამ უფლებამოსილება ყველა მოსამართლეს შეუწყვიტა.

რაც შეეხება იმ მოსამართლეებს, რომლებსაც უფლებამოსილების ვადა 2015 წლის 22 სექტემბერს ეწურებოდათ, საბჭოს, როგორც სასამართლო სისტემის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოს, ჰქონდა ვალდებულება გადაწყვეტილება მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მიეღო. საბჭოს სწორად უნდა შეეფასებინა მდგომარეობა და უნდა გაეთვალისწინებინა ყოველი კონკრეტული სასამართლოს დატვირთულობა. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად შეეფასებინა თითოეული სასამართლოს საჭიროება, საბჭომ ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით მართლმსაჯულების სისტემიდან 34 მოსამართლე გაათავისუფლა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გათავისუფლებულ მოსამართლეთა წარმოებაში გათავისუფლების დროისათვის ჯამში რამდენიმე ათასი საქმე იყო. ჩვენი გადაწყვეტილებებით ერთი უკიდურესობიდან, მეორე უკიდურესობა ავირჩიეთ და პრობლემის ზომიერად მოგვარების არცერთი შესაძლებლობა არ გავითვალისწინეთ.

#### **4. რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა**

სასამართლო სისტემის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების მოგვარების გზების შესახებ ხედვა, არამოსამართლე წევრების მიერ საბჭოს სხდომებზე არაერთხელ იქნა წარმოდგენილი:

- 2014 წლის 1 სექტემბრის სხდომაზე საბჭოს არამოსამართლე წევრებმა წერილით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომლითაც ითხოვდნენ უფლებამოსილება გაგრძელებული მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის მაჩვენებლით დაინტერესებას, რადგან ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან



იკვეთებოდა არაკეთილსინდისიერების ფაქტები.<sup>15</sup> ნაცვლად იმისა, რომ თითოეული ფაქტი შეესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, მათ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება დაეწყო, აღნიშნულ საკითხს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ანგარიში არ გაუწია.

- ამავე პერიოდში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა, **კახა სოფრომაძემ**, საბჭოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის ანალიზი წარუდგინა,<sup>16</sup> რომელიც საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებდა. საკითხი მოწონებულ იქნა, თუმცა პრაქტიკულად არ განხორციელებულა.
- 2016 წლის 29 თებერვალს, 21 მარტს; 28 მარტს და 18 აპრილს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა **ევა გოცირიძემ**, საბჭოს შესთავაზა გადაწყვეტილების პროექტი „საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების შესახებ შესაბამისი მასალების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“,<sup>17</sup> რომლის<sup>18</sup> მიხედვითაც სასამართლოების თავმჯდომარეებს წარმოემოზოდათ ვალდებულება, 6 თვეში ერთხელ საბჭოსათვის წარმოედგინათ ანგარიში საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესახებ, კონკრეტული საქმეების მითითებით. ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა ამჯერადაც არ დაეთანხმა არამოსამართლე წევრის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს.
- 2016 წლის 2 დეკემბერს საბჭოს რეკომენდაციებით მივმართე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა დატვირთულობისა და საქმეთა ვადების გაჭიანურების პრობლემის დაძლევის 8 ღონისძიებას ითვალისწინებდა. საბჭოს უმრავლესობამ, რეკომენდაციებს მხარი არ დაუჭირა.

#### 4.1. მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსების არათანმიმდევრულად ჩატარება;

როგორც უკვე აღინიშნა მხოლოდ 2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში 40 000-ზე მეტი, უპრეცედენტო რაოდენობის სამოქალაქო საქმე შევიდა. ამ პერიოდისათვის ამ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში რეალურად 33 მოსამართლე იყო. ამ გარემოების გათვალისწინებით, 2016 წლის 5 სექტემბერს,

<sup>15</sup> იხ. არამოსამართლე წევრების წერილი ვადაგაგრძელებული მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის შესახებ; ვადაგაგრძელებული მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის მაჩვენებელი

<sup>16</sup> საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის ანალიზი

<sup>17</sup> იხ. გადაწყვეტილების პროექტი „საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების შესახებ შესაბამისი მასალების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

<sup>18</sup> იხ. გვ. 5

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საშტატო რაოდენობა 44 ერთეულამდე გაზარდა. ბუნებრივია შტატების გაზრდას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის ჩატარება, ვინაიდან სულ რაღაც 4-5 თვეში კიდევ 7 მოსამართლეს ეწურებოდა უფლებამოსილების ვადა, რაც მათ წარმოებაში არსებული 4 500-მდე საქმის სხვა მოსამართლეებზე გადაცემასა და კიდევ უფრო მეტ დატვირთვას გამოიწვევდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სექტემბრის სხდომების დღის წესრიგებში შეტანილი იყო კონკურსის გამოცხადების საკითხები<sup>19</sup>, მაგრამ ყოველ ჯერზე სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა მისი გადადება. იმის გამო, რომ გარდაუვალი ხდებოდა სასამართლოს გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების გამო შექმნილი ისედაც მძიმე სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმება, 2016 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე დავაყენე კონკურსის დაუყოვნებლივ ჩატარების საკითხი, რაც სამწუხაროდ საბჭოს წევრთა უმრავლესობამ არ გაიზიარა.

მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი ჩატარდა მოსამართლეთა შტატების გაზრდიდან 9 თვის შემდეგ, რის გამოც მიმდინარე წლის აპრილისა და მარტის თვეებში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეთა დატვირთვამ საშუალოდ ერთ მოსამართლეზე 800 - 1200 საქმე შეადგინა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის ასეთი დაგვიანებით ჩატარებას თავისი მიზეზები და ახსნა აქვს. კერძოდ:

2017 წლის 8 თებერვალს, სასამართლო რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულმა კანონმა განიცადა ცვლილება, რომელიც მიმდინარე წლის 14 მარტს ამოქმედდა<sup>20</sup>. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში ერთი წლით ადრე იყო წარდგენილი და ორი მოსმენით განხილული. თუმცა, ახალი მოწვევის პარლამენტმა ეს კანონი მე-3 მოსმენიდან დააბრუნა მეორე მოსმენაზე და საყურადღებოა, რომ მხოლოდ, 35-ე მუხლის მე-9 პუნქტი შეიცვალა. ცვლილების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეობისათვის გამოცხადებულ კონკურსში

<sup>19</sup> იხ. 2016 წლის 12 სექტემბრის, 19 სექტემბრის, 26 სექტემბრის და 30 სექტემბრის საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

<sup>20</sup> იხ. 2017 წლის 8 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3536739#DOCUMENT:1;>

უზენაესი სასამართლოს მოქმედი ან ყოფილი მოსამართლის მონაწილეობის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღარ შეისწავლის მათ მიერ განხილულ 5 საქმეს და ისინი ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე პირდაპირ, უვადოდ ინიშნებიან მოსამართლეებად.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასამართლო კორპუსის მოთხოვნით მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე, მოსამართლეების უმრავლესობასთან შედგა შეთანხმება, რომლითაც თავდაპირველი კანონპროექტიდან უნდა ამოღებულიყო სამწლიანი გამოსაცდელი ვადა მოსამართლეობის სტაჟის მქონე პირებისათვის. თუმცა „მესამე ტალღის“ კანონპროექტში აღნიშნული შეთანხმება არ აისახა. სამაგიეროდ მხოლოდ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოქმედ და ყოფილ მოსამართლეებს შეეხოთ ეს დათქმა. საბოლოოდ, უზენაესი სასამართლოს მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები საერთო სასამართლოების სხვა ინსტანციის მოქმედი და ყოფილი მოსამართლეებისაგან განსხვავებით აღმოჩნდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში. მათ არც გამოსაცდელი ვადა, არც სათანადო დროით განსაზღვრული სამოსამართლო გამოცდილება მოეთხოვებათ და მათი დანიშვნისას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სხვა სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირთა დანიშვნის შემთხვევისაგან განსხვავებით, არც საქმეების შესწავლის ვალდებულება გააჩნია.

ამის შემდეგ, 2017 წლის 15 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე იმ პირის 3 წლის ვადით გამწესებას, რომელიც არის მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. 2017 წლის 1 ივლისამდე საქართველოს პარლამენტს დაევალა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ამდენად, სასამართლო კორპუსის ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებას დასჭირდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამწუხაროდ, მოსამართლეთა კანონიერი მოთხოვნის შესრულება ვერ მოხერხდა სხვა გზით.

2017 წლის 17 თებერვალს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღეში გამოცხადდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი და საბუთების მიღების საბოლოო ვადად 2017 წლის 19 მარტი განისაზღვრა.

მიუხედავად ჩემი მოსაზრებისა, რომ მოსამართლეთა კანდიდატების კენჭისყრა საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ ჩატარებულიყო.<sup>21</sup> საბჭომ კონკურსი ფორსირებულ რეჟიმში ჩაატარა და კანდიდატებს კენჭი 2017 წლის 11 მაისს უყარა. მოსამართლეები თანამდებობაზე იმ პირობებში დაინიშნენ, როდესაც ერთი მხრივ სახეზე გვქონდა მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ ნორმა, რომელიც თავისი შინაარსით არაკონსტიტუციური იყო<sup>22</sup>, ხოლო მეორე მხრივ არ არსებობდა ალტერნატიული მოწესრიგება, რომელიც პარლამენტს 2017 წლის 1 ივლისამდე უნდა მიეღო.

საყურადღებოა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 მაისის გადაწყვეტილება მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე, ამოქმედდა 2017 წლის 25 მაისს, რასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. კერძოდ, ამ კონკურსზე მე-3 მოსმენიდან მე-2 მოსმენაზე დაბრუნებული და შეცვლილი ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დაინიშნა დღევანდელი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი მიხეილ ჩინჩალაძე, რომელსაც უზენაეს სასამართლოში უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა 2017 წლის 23 მაისს ეწურებოდა. ამით ბატონ მიხეილს მიეცა შესაძლებლობა ამოეწურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ათწლიანი უფლებამოსილების ვადა და კვლავ გამწესებულიყო ამჯერად უვადო მოსამართლედ ისე, რომ ერთი დღითაც არ დაეტოვებინა სასამართლო სისტემა და მასზე გავლენის ბერკეტები.

ნათელი გახდა, რომ მთელი ეს პროცესი დაუკავშირდა ერთი პიროვნების ინტერესებს, რომელმაც პარალელურად გამოიწვია სხვა, საზოგადოებრივი ინტერესის უგულვებლყოფა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლეთა კიდევ უფრო გადატვირთვა და საქმეთა კიდევ უფრო გაჭიანურება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ პროცესს შეეწირა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რესურსების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობა. 2017 წლის 11 მაისს 3

<sup>21</sup> იხ. მოსაზრებები და რეკომენდაციები მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით;

<sup>22</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

წლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა 53 მოქმედი და ყოფილი მოსამართლე, რომელთა დანიშვნისას საბჭომ თითოეული მათგანის განხილული ხუთი საქმე შეისწავლა. პარლამენტის მიერ 2017 წლის 16 ივნისს მიღებული კანონის თანახმად, თითოეულ მათგანს შეუძლია მოითხოვოს გამოსაცდელი ვადის შეწყვეტა და უვადო მოსამართლედ გამწესება. ეს კი საბჭოს ავალდებულებს დანიშვნის პროცესის განმეორებას - განხილული საქმეების კვლავ შესწავლას, იგივე პირთა შეფასებას და უახლოეს წარსულში დანიშნული მოსამართლეების ამჯერად უვადოდ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებას. გაუმართლებელმა სიჩქარემ (ახალი რეგულაციის მიღებამდე კონკურსის ჩატარებამ) გამოიწვია ერთი და იგივე საქმის ორჯერ კეთება, რაც ერთი მხრივ არარაციონალურია და მეორე მხრივ გარკვეულ სამართლებრივ ბუნდოვანებას იწვევს.<sup>23</sup>

---

<sup>23</sup> 2017 წლის 16 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით, კანონს დაემატა 79<sup>4</sup> მუხლი, რომლის მიხედვით 2017 წლის 1 ივლისამდე თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებულ იმ მოსამართლეებს, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვთ, მიეცათ შესაძლებლობა განცხადებით მიემართათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის და მოეთხოვათ შემოწმების პროცედურების შეწყვეტა. ამ შემთხვევაში, ისინი შეფასდებიან საქმეების შესწავლითა და გასაუბრების შედეგად. კანონის აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს დათქმას, აქვთ თუ არა დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნულ მოსამართლეებს კონკურსში მონაწილეობის უფლება, მაშინ როდესაც კანონის ზოგადი 36-ე მუხლი უვადოდ დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობაზე 3 წლიან შეზღუდვას ითვალისწინებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სურს, კანონი იმგვარად განმარტოს, რომ მოსამართლეებზე, რომელთაც 79<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებული წესით ეთქვათ უარი უვადოდ დანიშვნაზე არ გავრცელდეს კონკურსში მონაწილეობის 3 წლით აკრძალვა და მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

კანონის ამგვარად განმარტება ერთის მხრივ ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს, ხოლო მეორეს მხრივ მოსამართლეთა შორის დისკრიმინაციას იწვევს.

როგორც მოგეხსენებათ, სამართალში არსებობს ზოგადი და სპეციალური ნორმების მიმართება, რომლის მიხედვითაც ზოგადი ნორმა ყველა ურთიერთობისათვის საერთოა, თუ სპეციალური ნორმა მისგან განსხვავებულ წესს არ ადგენს. ორგანული კანონის 79<sup>4</sup> მუხლი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ზოგადი ნორმისაგან განსხვავებულ დანაწესს, მხოლოდ შეფასების პროცედურების კუთხით ითვალისწინებს, ხოლო კონკურსში მონაწილეობის აკრძალვასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს. აქედან გამომდინარე, კონკურსში მონაწილეობის მიღების 3 წლით აკრძალვა საერთოა ყველა იმ მოსამართლისათვის, რომელიც თანამდებობაზე 3 წლის გამოსაცდელი ვადით არის დანიშნული მიუხედავად იმისა, რა ფორმით ეთქვა მას უარი თანამდებობაზე უვადოდ გამოწესებაზე.

საბჭოს მიერ კანონის ამგვარად გაგება ერთის მხრივ მოსამართლეთა შორის დისკრიმინაციას იწვევს, ხოლო მეორეს მხრივ საბჭოს მიერ მოსამართლეების დანიშვნაზე არასასურველი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას გააჩენს. მსგავსი პრაქტიკა, არასასურველი მოსამართლეების რაიონულ და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დანიშვნასა და სისტემის გავლენიანი ჯგუფის ინტერესების შესაბამისად გადაკომპლექტების ქმედით ბერკეტს შექმნის.

ამდენად, მიგვაჩნია აზრთა სხვადასხვაობის პირობებში საკითხი საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს, რაც საჭიროების შემთხვევაში ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს.

#### 4.2. სპეციალიზირებული კოლეგიების შექმნა;

ჩემს მიერ 2016 წლის 2 დეკემბერს წარდგენილი რეკომენდაციის პირველი პუნქტის მიხედვით თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უნდა შექმნილიყო მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც განიხილავდა საბანკო მომსახურებიდან და სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა. ზოგადად, ვიწრო სპეციალიზაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეები, რომლებიც ერთი კატეგორიის დავებს იხილავენ, მსგავსი დავების განხილვაში დახელოვნდნენ, რაც თავის მხრივ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე დადებითად აისახება. ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის საფუძველს დავის სამართლებრივი კატეგორია და დავის საგნის არსი წარმოადგენს, ხოლო დავის საგნის ღირებულება განსჯადობის განმსაზღვრელი შეიძლება იყოს.

მიუხედავად ამისა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭოს 2016 წლის 2 დეკემბრის N1/278 გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, რომლის უფლებამოსილებასაც სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხოლოდ ის დავები დაექვემდებარა, რომლებიც დადებულია კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის (ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ.) მიერ და რომელთა ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს. ამდენად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სპეციალიზაციის შექმნა დაუკავშირა სამართალურთიერთობის სუბიექტებს და დავის საგნის ღირებულებას, რაც გაუმართლებელია. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აღნიშნულ ვიწრო სპეციალიზაციაში თავის უფლებამოსილებას 3 მოსამართლე ახორციელებს. თითოეულს საშუალოდ 3000-დან 6500-მდე საქმე აქვთ წარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მოტივაციას <sup>24</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა დატვირთულობის პრობლემის მოგვარება წარმოადგენდა, შედეგად კიდევ უფრო დატვირთული მოსამართლეები და არაეფექტური სასამართლო მივიღეთ.

---

<sup>24</sup> თუ დავაკვირდებით თვის განმავლობაში თითოეული მოსამართლისათვის გადაცემული და განხილული საქმეების რაოდენობას ცხადი ხდება, რომ ამ სპეციალიზაციის ფარგლებში საქმეთა დაგროვებასთან და არა საქმეთა რაოდენობის შემცირებასთან (სასამართლოს განტვირთვისთან) გვაქვს საქმე. ეს ყველაფერი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ხსენებული სპეციალიზაციის შექმნა მინიმუმ დაუფიქრებლად განხორციელდა, მხოლოდ მექანიკური მანიპულაციის შედეგია ან სულაც დროის გარკვეულ მონაკვეთში საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. ყველა შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება არათუ მდგომარეობის გამოსწორებას, არამედ კიდევ უფრო დამძიმებას უქმნის ნოყიერ ნიადაგს.

გარდა აღნიშნულისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კიდევ ერთი ვიწრო სპეციალიზაცია შეიქმნა, რომელიც იმ სამოქალაქო საქმეებს განიხილავს, რომელთა ღირებულებაც 500 000 ლარს აღემატება (ე.წ. კომერციული დავები). აღნიშნულ ვიწრო სპეციალიზაციაში 5 მოსამართლე გამწესდა.

აღნიშნული სპეციალიზაციების შექმნით სასამართლო სისტემაში ერთგვარი სოციალური უთანასწორობა შეიქმნა. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილებებით, მართლმსაჯულება ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელთა დავის საგნის ღირებულება ნახევარ მილიონ ლარს აღემატება. სხვა კატეგორიის საქმეებზე კი, დავის განხილვის საპროცესო ვადების დარღვევა ძველებურად გრძელდება. ამდენად, ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მართლმსაჯულება ყველა სოციალური ფენისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის.

#### **4.3. საგამომიებო და წინასასამართლო განხილვის კოლეგიის შექმნა და გაუქმება**

2016 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე ჩემს მიერ წარდგენილ ერთ-ერთ რეკომენდაციას თბილისის საქალაქო სასამართლოში საგამომიებო და წინასასამართლო საქმეთა კოლეგიის გაუქმება წარმოადგენდა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე მიღებულ შედეგებს ეყრდნობოდა.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საერთო სასამართლოებში ბოლო წლების (2011-2015) განმავლობაში საქმეთა ნაკადმა განსაკუთრებით მოიმატა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს მდგომარეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, წინასასამართლო და საგამომიებო საქმეთა კოლეგიის თითოეული მოსამართლის დატვირთვა საშუალოდ 9 საქმეს შეადგენდა, ხოლო აღნიშნული კოლეგიის წარმოებაში ჯამში 151 საქმე იყო, მაშინ როცა სისხლის სამართლის არსებითად განხილვის კოლეგიაში ერთ მოსამართლეს საშუალოდ ეწერა 100 დან 200 საქმემდე (ეს იმ ფონზე, როდესაც სისხლის ორივე კოლეგიას მოსამართლეთა თანაბარი რაოდენობა ჰყავდა). იმავდროულად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთ მოსამართლეს იმ დროისათვის წარმოებაში 1221 საქმე ჰქონდა. შესაბამისად, საგამომიებო და წინასასამართლო საქმეთა კოლეგიის საჭიროება არ არსებობდა. მიგვაჩნდა, რომ კოლეგიის გაუქმების შემთხვევაში ამ კოლეგიაში არსებული მოსამართლეების

ნაწილს უფლებამოსილების განხორციელება სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში უნდა გაეგრძელებინა, ხოლო ნაწილს სამოქალაქო საქმეების განხილვა დროებით უნდა დავალებოდათ და ამით მომხდარიყო სამოქალაქო საქმეთა განტვირთვა.<sup>25</sup>

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი ასევე ცხადყოფდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები პრობლემის მოგვარებისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ არ იყო მიმართული. თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობა საჭიროებიდან გამომდინარე არ იზრდებოდა. უფრო კონკრეტულად, ბოლო წლების განმავლობაში, სისხლის სამართლის საქმეთა კლება შეინიშნება, ხოლო სამოქალაქო საქმეები 2011 წელთან შედარებით 2.5-ჯერ იყო გაზრდილი.

საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეთა რაოდენობა, საქმეთა მომატების პროპორციულად არ გაზრდილა. 2011 წელს, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უფლებამოსილებას 27 მოსამართლე ახორციელებდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 23. რეკომენდაციების მომზადების დროისათვის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უფლებამოსილებას ახორციელებდა 33 მოსამართლე (გათვალისწინებულია 44 საშტატო ერთეული), ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და წინასასამართლო და საგამომიებო საქმეთა კოლეგიაში ჯამში უფლებამოსილებას ახორციელებდა - 39 მოსამართლე (შტატით - 45 ერთეული).

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, სადაც, როგორც 2011 წელთან, ასევე 2014 წელთან შედარებით შეინიშნებოდა საქმეთა რაოდენობის კლება, ფაქტობრივად 2 ჯერ გაიზარდა მოსამართლეთა რაოდენობა, მაშინ როდესაც სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შემოსულ საქმეთა რაოდენობა, 2011 წელთან შედარებით თითქმის 2.5 - ჯერ იყო გაზრდილი, ხოლო მოსამართლეთა რაოდენობა მხოლოდ 6 ერთეულით გაიზარდა.

2016 წლის 2 დეკემბრის სხდომაზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩემს რეკომენდაციას მხარი არ დაუჭირა. თუმცა 8 თვის დაგვიანების შემდეგ, 2017 წლის 24 ივლისის სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იქნა წინადადებები, რომელიც ფაქტიურად ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისი იყო. ჩემი რეკომენდაციის მსგავსად ამ წინადადებების მიხედვითაც უქმდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო საქმეთა კოლეგია. საკითხის მომხსენებლის (სასამართლოს თავმჯდომარის)

---

<sup>25</sup> საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მოსამართლეს, მისივე თანხმობით დაავალოს საქმის ამავე სასამართლოს სხვა კოლეგიაში განხილვა.



განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანს საქმეთა გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება წარმოადგენდა. გასაუქმებელ კოლეგიაში მყოფი მოსამართლეები თავიანთ უფლებამოსილებას სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში შეასრულებდნენ. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით მართლმსაჯულების სისტემა თბილისის საქალაქო სასამართლოში პირვანდელ სახეს უბრუნდებოდა, რომლის მიხედვითაც თბილისის საქალაქო სასამართლოში 3 (სამი) კოლეგია არსებობდა: სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საბოლოოდ კი ნათელი გახდა, რომ ეს ცვლილებაც კერძო ინტერესებს ემსახურებოდა და არა საზოგადოებრივ საჭიროებას - საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას ცვლილებების პროექტი შეიცვალა ისე, რომ ამის შესახებ საბჭოს წევრების ინფორმირება არ მომხდარა და ახლად შექმნილ კოლეგიას სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია ეწოდა (ანუ ადგილი ჰქონდა ფორმალურ რეორგანიზაციას). ნათელი გახდა, რომ წინადადების ინიციატორთა მიზანს არა კოლეგიის გაუქმება, არამედ სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარის შეცვლა და გავლენების გაძლიერება წარმოადგენდა.

ამის დასტურია ის განზრახვა, რომელიც შემდგომ გამოვლინდა: ამავე სხდომაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ოჯახური მდგომარეობის მიზეზით გადმოყვანილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლო და არსებითი განხილვის ახლად შექმნილ კოლეგიაში, რომელიც 2 თვეში (2012 წლის 2 ოქტომბერს) ამავე კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

აშკარაა, რომ როგორც ახალი კოლეგიის შექმნა, ასევე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თბილისის საქალაქო სასამართლოში გადმოყვანა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და საბჭოს მიზანს, არა საქმეთა ნაკადის მართვა, არამედ გავლენის სფეროს განმტკიცება წარმოადგენდა.

## **5. დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების პრაქტიკა**

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის ვადა 2-5 თვეს შეადგენს. დღეის მდგომარეობით, ყველა მოსამართლის მიერ თითქმის ყველა საქმეზე საქმის განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეებისათვის ჩაბარების ვადები ირღვევა.

ხშირად მხარეები ან მათი წარმომადგენლები და ადვოკატები გაჭიანურებული საქმეების თაობაზე თავიანთი უფლებების დასაცავად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავენ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოება ყოველთვის ჭიანურდებოდა და მხარეები თავიანთ განცხადებებზე პასუხებს თვეების დაგვიანებით იღებდნენ. 2013 წელს დისციპლინური საკითხების განსახილველად მხოლოდ ერთი სხდომა გაიმართა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური სხდომების ინტენსივობით ჩატარება, საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, 2014 წლის ივნისიდან დაიწყო. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო სადისციპლინო სხდომებს რამდენიმე თვის განმავლობაში არ ატარებდა და შემდეგ ერთობლივად ასეულობით საჩირავს ერთბაშად იხილავდა. მაგალითად, 2017 წლის 2 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით, 6 სადისციპლინო სხდომა ჩატარდა, რომლებზეც ჯამში 167 საჩივრის განხილვა მოხდა. ამდენად, საბჭოს მიერ დისციპლინური საჩივრების განხილვა არათანმიმდევრულად მიმდინარეობდა და თითქმის ყველა შემთხვევაში დისციპლინური სამართალწარმოების ვადები ირღვეოდა. ამ ხნის განმავლობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურების კუთხით პასუხისგებაში არც ერთი მოსამართლე არ მიცემულა. მსგავსი დატვირთვის პირობებში, მოსამართლეთა პასუხისგებაში მიცემა უსამართლობა იქნებოდა, ვინაიდან საქმეთა განხილვის ვადების დარღვევა არა მათი ბრალეულობით, არამედ ჩვენი არასწორი მენეჯმენტის გამო ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით სპეციალური ვადები მხარეებისთვისაც არის დადგენილი, რომლის დარღვევის შემთხვევაში მხარეს გარკვეული სანქცია ეკისრება და მისთვის არახელსაყრელი შედეგების დადგომას იწვევს.

მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა, მის მიმართ სანქციას, გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს, მაშინ როდესაც საქმის განხილვის საპროცესო ვადების დარღვევა რეაგირების გარეშე რჩება და უფრო მეტიც, ვადებს მოსამართლეთა მიმართ საჩივრის განმხილველი ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭოც არღვევს. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ საზოგადოებას მართლმსაჯულების ინსტიტუტების მიმართ უსამართლობის განცდა უჩნდება.

ვიღებთ შემდეგ „მოჯადოებულ“ წრეს: მხარე არღვევს კანონით დადგენილ ვადებს და ისჯება, მოსამართლე არღვევს კანონით დადგენილ ვადებს, რასაც მხარე აპროტესტებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და მრავალი თვის დაგვიანებით იღებს

პასუხს, რომ მოსამართლის გადაცდომა არ დადასტურდა. სასამართლოს მომხმარებლებს და შესაბამისად, საზოგადოებას უჩნდებათ გაურკვევლობისა და უნდობლობის განცდა. სასამართლო სისტემა განიცდის დისკრედიტაციას.

მსგავსი ხარვეზები უნდა აღმოეფხვრა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტს, რომელიც მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დაინერგა.<sup>26</sup>

დღეის მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ასამდე საჩივარია შემოსული, რომლებშიც მხარეები მოსამართლეების მხრიდან მათი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე უთითებენ. კანონმდებლობის თანახმად, დამოუკიდებელ ინსპექტორს, აღნიშნულ საჩივრებზე რეაგირება მაქსიმუმ ორი თვის ვადაში უნდა მოეხდინა. თუმცა, მოქალაქეთა განცხადებების შესწავლა დღემდე არ დაწყებულა იმ მიზეზით, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის კანდიდატურა თავის დროზე არ შეარჩია.

**დეტალურად წარმოგიდგინთ აღნიშნული პროცესის გაჭიანურების ფაქტობრივ გარემოებებს:**

- 2017 წლის 8 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა სასამართლო რეფორმის ე.წ. "მესამე ტალღის" ფარგლებში დამოუკიდებელი ინსპექტორის სახით ახალი ინსტიტუტი დაამკვიდრა, რომელსაც მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში აქამდე არსებული ხარვეზები უნდა აღმოეფხვრა. კანონის ამოქმედების შემდეგ, საბჭოში წარდგენილი დისციპლინური საჩივრების შესწავლა დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციას დაექვემდებარა. დამოუკიდებელი ინსპექტორის კონკურსის წესით შერჩევა კი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონკურსი 2017 წლის 8 მაისს გამოაცხადა.
- 2017 წლის 16 ივნისს (3 თვის შემდეგ) საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა 8 თებერვალს მიღებულ კანონში და დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის კრიტერიუმი შეცვალა. კერძოდ, ინსპექტორის სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება 5 წლამდე შეამცირა.
- 2017 წლის 20 ივნისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დამოუკიდებელი ინსპექტორის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას 10 წლის სპეციალობით მუშაობის გამოცდილების მქონე ოცდაათამდე კანდიდატი იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატები სრულად აკმაყოფილებდნენ კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ვერცერთი

<sup>26</sup> იხ. 2017 წლის 8 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3536739#DOCUMENT:1>

კანდიდატი ვერ შეირჩა იმ მიზეზით, რომ საბჭოს 8 მოსამართლე და ერთმა არამოსამართლე წევრმა წინასწარი შეთანხმებით კენჭისყრის ბიულეტენები გააუქმეს და კონკურსი განზრახ ჩაშალეს.

- კონკურსის ჩაშლის შემდეგ, საბჭოს ახალი კონკურსი დაუყონებლივ უნდა გამოეცხადებინა. კონკურსის "დაუყონებლივ" ჩატარება 4 თვის შემდეგ, 2017 წლის 20 ოქტომბერს დაიწყო.
- 2017 წლის 20 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით დამოუკიდებელი ინსპექტორი აირჩია.

ერთის მხრივ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის განზრახ ჩაშლა და მეორეს მხრივ პარლამენტის მიერ კენჭისყრამდე ორი დღით ადრე დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის სპეციალობით მუშაობის გამოცდილების 5 წლით შემცირება, იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ამ პროცესის მიმართ უნდობლობა გაჩნდა, 49 კანდიდატიდან გასაუბრებაში მხოლოდ 17-მა კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა და ამ კანდიდატთა შორის მოსამართლეობის გამოცდილების მქონე მხოლოდ ერთი კანდიდატი აღმოჩნდა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის პროცესის მსგავსი გაჭიანურებით კვლავ მოქალაქეები დაზარალდნენ, ვინაიდან მათი უფლებების შესაძლო დარღვევა ისევ გრძელდება.

დისციპლინური საჩივრების განხილვის ვადების გაჭიანურების პრობლემის მოგვარება პარლამენტს მარტივი იურიდიული ტექნიკის გამოყენებით შეეძლო, ისე რომ მხარეები არ დაზარებულყვნენ. გამართლებული იქნებოდა, კანონის მიღებისას დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენცია მხოლოდ მისი არჩევის შემდეგ შემოსულ საჩივრებზე გავრცელებულიყო. კანონმა კი ინსპექტორის კომპეტენციას ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ საბჭოში შესული საჩივრების განხილვა მიაკუთვნა. პარლამენტმა ინსპექტორის ინსტიტუტის არსებობა დაადგინა 2017 წლის 8 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებით, ხოლო საბჭომ ინსპექტორის თანამდებობაზე შესაბამისი კანდიდატი აირჩია 2017 წლის 20 ნოემბერს. შესაბამისად, თითქმის 9 თვის მანძილზე შეიქმნა ვაკუუმი და დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებაზე 8 თებერვლიდან 20 ნოემბრამდე პერიოდში შემოსულ საჩივრებზე არ არსებობდა მათ განხილვაზე კომპეტენციის მქონე ორგანო ან პირი. ახლა კი ისეთი მოცემულობა გვაქვს, რომ დამოუკიდებელ ინსპექტორს, დანიშნვისთანავე 100-მდე საჩივარი გადაეცა განსახილველად.

აქედან გამომდინარე, რეფორმის განხორციელების პროცესის მსგავსად წარმართვის პირობებში, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ ინსპექტორი დისციპლინურ საჩივრებზე გადაწყვეტილებების მიღების გაჭიანურების წარსულში არსებულ პრაქტიკას ვეღარ აღმოფხვრის, რაც მოქალაქეებში არსებულ უსამართლობის განცდას კიდევ უფრო გააღრმავებს.

## **6. განსხვავებული აზრის დევნა და ჯანსაღი კონკურენციის მოსპობა**

საქმეთა გაჭიანურების და ამ თვალსაზრისით მართლმსაჯულების ხელმიუწვდომლობის პრობლემა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით და მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირე. ეს საკითხი დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა პრობლემას, თუმცა ის განსაკუთრებული სიმწვავეით 2014 წლიდან წარმოჩინდა, მას შემდეგ, რაც მოსამართლეთა უმრავლესობისათვის დადგა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დრო. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო ამ გამოწვევას შეხვედროდა მომზადებული და მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ყოველი პერიოდის შესაბამისად უნდა ეზრუნა სასამართლო სისტემიდან მოსამართლეთა ნაკადის გადინების საფრთხის საკომპენსაციოდ.

სამწუხარო რეალობაა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ქმედებები ვერ პასუხობს საკითხისადმი გულისხმიერ დამოკიდებულების სტანდარტს. უფრო მეტიც, საბჭოს მოქმედებებში იკითხება ლეგიტიმური მიზნების უგულვებელყოფის ხარჯზე სუბიექტური ზრახვების სისრულეში მოყვანა. ამგვარი განზრახვის შესახებ საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს განსხვავებული აზრის დევნის ფაქტები:

**ვინ არიან განსხვავებული აზრის დევნის მსხვერპლნი?!** - ქართული მართლმსაჯულების ისტორიის მანძილზე უპრეცედენტო გახლდათ საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა მეორე პროფესიული გაერთიანების შექმნა. ასეთი გახლდათ ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობა“, რომელიც 2013 წლის 4 ივნისს დაფუძნდა. მასში გაერთიანებულნი იყვნენ ის მოსამართლეები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ სასამართლო სისტემის მართვის წარსულის მაგალითებს და მოსამართლის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით სასამართლოში შექმნილ სავალალო მდგომარეობას. ამ ასოციაციის წევრთა შორის იყვნენ ის მოსამართლეებიც, რომელთაც საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი 9 წლიანი სასამართლოს მართვის სადავეებთან მყოფი პირების უკანონო,

დამოუკიდებლობის გამო დასჯაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები. მაგალითად, ის მოსამართლეები, რომლებიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მივლინების ინსტიტუტის დამახინჯებული გამოყენების გზით ერთ მშვენიერ დღეს სხვა რაიონულ (საქალაქო) ან სულაც სააპელაციო სასამართლოდან ქვედა ინსტანციის სასამართლოებში აღმოჩნდნენ. ამგვარი გადაწყვეტილებები მოსამართლეებს ურღვევდა არამარტო კარიერულ თუ სამსახურებრივ უფლებებს, ასევე პირდაპირ აუარესებდა მათი დამოუკიდებლობის გარანტიებს. „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ ორგანიზებით სასამართლო სისტემის და მისი დამოუკიდებლობის სრულყოფის მიზნით მრავალი საზოგადოებრივი ფორუმი მოეწყო და არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა. ეს ორგანიზაცია ასევე აქტიურად იყო ჩართული სასამართლო რეფორმის განხორციელების საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებისა და მხარდაჭერის ფორმატში.

ამ ასოციაციის წევრმა მოსამართლეებმა გაბედეს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში 2013 წელს თავიანთი კანდიდატურები წარადგინეს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე. მათ გულწრფელად სურდათ სასამართლო სისტემის რეფორმირება, ინსტიტუციურად და ინდივიდუალურად დამოუკიდებელი სასამართლო კორპუსის ფორმირება.

**რაში გამოიხატა განსხვავებული აზრის დევნა?! -** 2013 წლის ივნისიდან 2017 წლის მაისის ჩათვლით ჩატარდა 9 კონკურსი. ასოციაცია თავის რიგებში 49 წევრ მოსამართლეს აერთიანებდა, რომელთაგან დღეის მდგომარეობით 34 მოსამართლე დაინიშნა თანამდებობაზე, ხოლო 15 მოსამართლეს დანიშვნაზე უარი უარი ეთქვა.

განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს ამ ასოციაციის წევრთა მოსამართლეებად დანიშვნის პროცესი. საგულისხმოა, რომ ასოციაციის წევრებს კონკურსში მონაწილეობა 2-ჯერ ან 3-ჯერ აქვთ მიღებული. ეს ფაქტი წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვებს - თუ კონკრეტული პირი აკმაყოფილებს მოსამართლეობის კრიტერიუმებს, რატომ ანდომებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მის დანიშვნას ორ ან სამ კონკურსს? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ შემდგომ განვითარებულ მოვლენებში. თითქმის ყველა წევრი ასოციაციისა, რომელიც გამწესდა თანამდებობაზე ჯერ ხდება ინერტული ასოციაციის საქმიანობის პროცესში და შემდეგ, თავად ამ პირთა მიერ დეკლარირებული ასოციაციის მიზნებისათვის შეუსაბამო ლოგიკით, ტოვებენ ასოციაციას. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაუნარიანმა უმრავლესობამ საბჭოს წევრის უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს მოსამართლის დანიშვნისათვის ხმის მიცემას, გამოიყენა განსხვავებული აზრის ირგვლივ გაერთიანებული მოსამართლეების

ორგანიზაციული სტრუქტურის დასაშლელად. ამით საბჭოს უმრავლესობამ მოახდინა მოსამართლეთა ერთობის დისკრედიტაცია და იმავდროულად შექმნა პრევენცია სასამართლო კორპუსში ყოველი ახალი აზრის განვითარების საწინააღმდეგოდ. ამასთან, ალტერნატიული ასოციაციის დაშლის მაგალითია ისიც, რომ ბათილი ბიულეტენების გამო, მოსამართლის ერთ ვაკანტურ ადგილზე „მოსამართლეთა ერთობის“ წევრთაგან კენჭისყრის შედეგად არცერთი ინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ ორივემ გადალახა კომპეტენტურობის და კეთილსინდისიერების კუთხით შეფასების ეტაპი.

განვითარებული ქვეყნების სასამართლო სისტემებში მოსამართლეთა სხვადასხვა ასოციაციების არსებობა გამართლებულიცაა და მხარდაჭერილიც. მათი არსებობა ხელს უწყობს განსხვავებული ხედვების წარმოჩენას, რაც საბოლოოდ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის განვითარების წინაპირობაა. განსხვავებული აზრისათვის თავისუფალი სივრცის არსებობა უზრუნველყოფს იმას, რომ სასამართლო, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო, პასუხობდეს საზოგადოებრივ გამოწვევებს, გახსნილი იყოს ახალი ან ალტერნატიული იდეებისადმი, არ ჩაიკეტოს სისტემა და ის ხელში არ ჩაუვარდეს ერთ რომელიმე გავლენიან ჯგუფს.

უნდა ითქვას, რომ საქართველომ ამ ეტაპზე გაუშვა ეს შესაძლებლობა და შედეგმაც არ დააყოვნა. დღეისათვის სასამართლოში კრიტიკული აზრის გამოხატვის თავისუფლება აღარ არსებობს. სადაც არაა კრიტიკა, იქ არ არსებობს აზრთა კონკურენცია, სადაც არაა კონკურენცია, იქ არ უნდა ველოდეთ პროგრესს.

## 7. დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტების ანალიზისა და შეფასების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად იკვეთება სუბიექტურად მოტივირებული, კერძო ინტერესებით ნაკარნახევი გადაწყვეტილებები, ხდება გავლენის სფეროს მოპოვება და გაძლიერება, კონკურენციის დევნა და მოსპობა, ადგილი აქვს არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღებასა და მენეჯმენტურ პრობლემებს. ეს კი სრულიად აზიანებს საზოგადოებრივ ინტერესებს, მართლმსაულებრის ხელმისაწვდომობასა და მისდამი საზოგადოების ნდობას.

### III თავი

#### არსებული პრობლემის მოგვარების გზები

##### 1. სასამართლო სისტემის მიერ პრობლემის პრევენციისა და გამოსწორების გზა:

დღეის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში თითოეული მოსამართლის დატვირთვა საშუალოდ 350 საქმეს შეადგენს. აღნიშნული დატვირთვა მიმდინარე წლის გაზაფხულთან შედარებით შემცირებულია, თუმცა მოქალაქეები სწრაფ მართლმსაჯულებას მაინც ვერ იღებენ.

თითოეული მოსამართლის დატვირთვის შემცირება ჩემს მიერ წარდგენილი რეკომენდაციის (სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობის 7 მოსამართლით გაზრდა) 7 თვის დაგვიანებით განხორციელებამ გამოიწვია. 2017 წლის 11 მაისს მიღებული გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ახალი მოსამართლეები გამწესდნენ და საქმეთა ნაწილი განსახილველად სწორედ ამ მოსამართლეებს გადაეცათ. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხვა სპეციალიზაციაში თითოეულ მოსამართლეს კვლავ 3000-დან 6500-მდე საქმე აქვს წარმოებაში. სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვია მოსამართლეთა საშუალო დატვირთვის შემცირება, თუმცა სწრაფი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მხრივ არაფერი შეცვლილა - საქმეთა განხილვის ვადები კვლავ ირღვევა.

თუ თვალს გადავავლებთ თბილისის საქალაქო სასამართლოში შემოსულ და განსახილველ საქმეთა დინამიკას, დავინახავთ რომ წარსულში დაშვებული შეცდომების გამეორება ხდება. კერძოდ, თითოეული მოსამართლე თვეში 100-200 საქმეს ასრულებს, რაც რაციონალურ პირობებში წარმოუდგენელია. დღეში საშუალოდ 8 საქმის დასრულება მართლმსაჯულების ხარისხის ხარჯზე მიმდინარეობს. შექმნილი ვითარება ცხადყოფს, რომ არსებული რაოდენობის საქმეთა პირობებში ნაჩქარევად, სათანადო დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილებათა მიღების საფრთხე რეალურია. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე კოლეგიაში, სხვადასხვა სპეციალიზაციის მოსამართლეს ერთ შემთხვევაში 350, ხოლო მეორე შემთხვევაში 6500 საქმე აქვს განსახილველი პრობლემის მოგვარებას ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებას უწყობს ხელს.

ამდენად, 2005 წელს წარმოშობილი კრიზისის დაძლევის მეთოდი (ე.წ. საქმეთა კონვეირული წესით განხილვა) დღეს აღარ გამოგვადგება, რადგან განმეორებით



მივიღებთ იმ შედეგებს, რაც 9 წლიან მართლმსაჯულებას ახასიათებდა და სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობაც შესაბამისი იქნება.

უნდა ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტისაკენ არაა ორიენტირებული. სასამართლოთა გადატვირთულობის დაძლევის გზა სხვა სისტემურ მოქმედებებთან ერთად მოსამართლეთა შტატების გაზრდასა და მოსამართლეთა რაოდენობის რეალურ მატებაზე გადის.

მცდარია მოსაზრება, რომ თითქოს ქვეყანაში არ გვყავს მაღალკვალიფიციური იურისტები. მიმაჩნია, რომ მაღალკვალიფიციურ და კეთილსინდისიერი კადრების დეფიციტთან არ გვაქვს საქმე, პრობლემა მათ აღიარებაში და მოსამართლედ გამწესების სათანადო ნების არარსებობაში მდგომარეობს.

## **2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხედვა არსებული პრობლემის მოგვარების თაობაზე**

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, პრობლემის მოგვარების მეორე გზად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელება მიაჩნია. 2017 წლის 30 ოქტომბრის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტები,<sup>27</sup> რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმე.

მართალია პროექტი შეიცავს პოზიტიურ დებულებებს, თუმცა რიგი საკითხები წინააღმდეგობაში მოდის სამართლის ძირითად პრინციპებთან.

მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი პროექტით ხელოვნურად შექმნილი კრიზისის დაძლევა ერთის მხრივ სამართლებრივი პრინციპების იგნორირების ხარჯზე ხდება, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნული ცვლილებები არსებულ პრობლემას ვერ მოაგვარებს, პირიქით, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის უზრუნველყოფას კიდევ უფრო დააბრკოლებს.

---

<sup>27</sup> იხ. ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე; კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წარმოგიდგენთ მოსაზრებებს თუ რა ნაწილში მიმაჩნია პროექტის მიღება გაუმართლებლად.

### **სასამართლოს შესაბამისი მოხელის (მაგისტრი) კომპეტენციის გაზრდა**

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საკრედიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე 5000 ლარამდე დავები, რომელსაც დღეის მდგომარეობით მოსამართლე იხილავს, განსახილველად სასამართლოს მოხელეს გადაეცემა. ხოლო სააპელაციო სასამართლოში, მოხელის კომპეტენციას არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხების განხილვა დაექვემდებარება.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, როგორც სამართლებრივი, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

სამართლებრივი თვალსაზრისით: აღსანიშნავია, რომ მოხელეს არ გააჩნია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სათანადო გარანტიები. მოხელეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოს თავმჯდომარე. გარდა ამისა, მოხელის მიერ 5000 ლარამდე დავების განხილვა სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპებს ეწინააღმდეგება. მსგავსი კატეგორიის საქმეებში ფიგურირებს მოპასუხე (მოპასუხეები), სასამართლოს მიერ დგინდება სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები, ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მოთხოვნის სანივთო და სხვა სახელშეკრულებო უზრუნველყოფის საშუალებები ან და მხარე ითხოვდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. შესაბამისად, მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა, შესაძლებელია დავა განსაკუთრებული სირთულით ხასიათდებოდეს და არამარტო მოსარჩელისა და მოპასუხის, არამედ მესამე პირთა ინტერესებსაც ეხებოდეს. ამდენად, მსგავსი კატეგორიის დავების სასამართლოს მოხელის კომპეტენციას მიკუთვნება დაუშვებელია და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. მიზანშეწონილია, მოხელის კომპეტენციას კვლავ მხოლოდ უდავო კატეგორიის საქმეების განხილვა დაექვემდებაროს.<sup>28</sup>

<sup>28</sup>სასამართლოს შესაბამისი მოხელის (მაგისტრი) ინსტიტუტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის 11 ნოემბრის ცვლილებებით დამკვიდრდა, რომლის მიხედვითაც უდავო წარმოებას მიკუთვნებული საქმეების განხილვა სასამართლოს სპეციალურ მოხელეს დაევალა. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით მსგავსი კატეგორიის დავების სასამართლოს მოხელის მიერ განხილვა მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული იმდენად, რამდენადაც მსგავს საქმეებში მოპასუხე არ ფიგურირებდა და სასამართლო მხოლოდ ფაქტის არსებობას ადგენდა. შესაბამისად, იმის გამო რომ სასარჩელო წამოებას არ ჰქონდა ადგილი, გამართლებული იყო მსგავსი დავების მოხელის მიერ განხილვა.

სამართლებრივი თვალსაზრისით ასევე გაუმართლებელია სააპელაციო სასამართლოში მოხელის მიერ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა, რადგან თავის დროზე, როდესაც არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების განხილვა მოსამართლის კომპეტენციას მიეკუთვნა, ამოსავალი წერტილი სწორედ ის იყო, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა საპროცესო სამართლებრივი კუთხით შემოწმება სასამართლოს მაღალ ლეგიტიმაციას დაქვემდებარებოდა. არბიტრაჟის მიერ განხილული დავის ღირებულება უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ მაღალია და სირთულითაც ხასიათდება. მოხელის მიერ მსგავსი საქმეების განხილვა გაუმართლებელია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოხელეს დამოუკიდებლობის ის გარანტიები არ გააჩნია, რაც მოსამართლეს.

რაც მთავარია, სამართლებრივი თვალსაზრისით ირღვევა პრინციპი, რომლის თანახმადაც, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მისი დავა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ განიხილოს. სასამართლოში კი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი გარანტიის მქონე მოსამართლე იგულისხმება.

პრაქტიკული თვალსაზრისით, წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება არა თუ მოსამართლეთა განტვირთვას გამოიწვევს, არამედ ერთ შემთხვევაში პირველი ინსტანციის, ხოლო მეორე შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის. პროექტის მიხედვით, მოხელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იმავე ინსტანციის სასამართლოში საჩივრდება. ამდენად, თუ მოხელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სულ მცირე 30% მაინც გასაჩივრდება, სასამართლოებში საქმეთა რაოდენობა სწორედ ამ მაჩვენებლით გაიზრდება, მაშინ როდესაც დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები არ საჩივრდება საქმის განმხილველი მოსამართლის ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხით და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში სრულდება, რაც დამატებითი რესურსისა და დროის ხარჯვას გამოიწვევს. შემოთავაზებული ცვლილებებით კი ერთი და იმავე საქმის ორჯერ განხილვა ერთი და იგივე სასამართლოს მიერ, ერთ

შემთხვევაში მოხელის, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში მოსამართლის მიერ უნდა მოხდეს. საბოლოოდ კი საქმეთა რაოდენობა კვლავ სასამართლოს ემატება

ცვლილებების პროექტი არბიტრაჟის ინსტიტუტის ძირითადი არსის უგულვებელყოფას იწვევს, ვინაიდან საარბიტრაჟო შეთანხმება დავის სწრაფად გადაწყვეტას ემსახურება. მოცემული ცვლილებები კი არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ორჯერ განხილვის შესაძლებლობას აჩენს და აზრს უკარგავს არბიტრაჟის, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული და სწრაფი საშუალების ძირითად იდეას.

ამდენად, როგორც საარბიტრაჟო, ასევე 5000 ლარამდე დავების მოხელისათვის განსახილველად დაქვემდებარებით სწრაფი მართლმსაჯულება ვერ მიიღწევა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კიდევ უფრო გაჭიანურდება.

ვფიქრობთ, პრიორიტეტებისა და ღირებულებების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, როგორც მოსამართლის გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება, ასევე ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღწევა შესაძლებელია, რაზეც დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ.

### **3. პრობლემის მოგვარების აუცილებლობა სისტემური ცვლილებების გზით**

არსებული სისტემა მოძველებულია და დღევანდელ გამოწვევებს ვერ პასუხობს, ამიტომ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ყოველი მცდელობა ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემის გრძელვადიანი პერსპექტივით გადაწყვეტაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ცხოვრების პირობებში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების გზა სამართლიან და დროულ მართლმსაჯულებაზე გადის. ამ ფონზე ნებისმიერი დავა, რომელიც სასამართლოში იხილება ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დავის განხილვის ვადებს ადგენს. ამ ვადების ზედმიწევნით დაცვის პირობებშიც კი საქმის განხილვის ვადა 2 წელს აღწევს. მაგალითად, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში დავა, რომელიც გარკვეული სირთულით ხასიათდება, 5 თვის ვადაში უნდა გადაწყდეს. სააპელაციო ინსტანციაშიც დავის გადაწყვეტისათვის იგივე ვადაა დადგენილი. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციაში დავის განხილვის ვადას, მხოლოდ

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისათვის კანონი ითვალისწინებს 3 თვეს, ხოლო დასაშვებად ცნობილი საკასაციო საჩივრის განხილვისათვის დამატებით კიდევ 3 თვეს, ანუ საბოლოოდ საკასაციო სასამართლოში დავის განხილვის მაქსიმალური ვადა 6 თვეს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებებსაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილია 14 დღე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის 21 დღე და მხედველობაში მივიღებთ გადაწყვეტილებების მომზადებისა და მხარეთათვის გადაწყვეტილებების ჩაბარებისათვის დადგენილ ვადებს (20 დღიდან ერთ თვემდე), ერთი დავის გადაწყვეტას კანონით დადგენილი ვადების ზედმიწევნით დაცვის შემთხვევაში სასამართლო სისტემას 19-დან 21 თვემდე ესაჭიროება.<sup>29</sup>

ამდენად, უნდა ითქვას, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის დაცვის პირობებშიც კი, სასამართლო ვერ ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში თავის ფუნქციას, ვერ უზრუნველყოფს დროულ მართლმსაჯულებას და ამ მიზეზით პრაქტიკულად (შედეგობრივად) უგულებელყოფილია სამართლიანი

---

<sup>29</sup> უნდა ითქვას, რომ ეს ვადა მხოლოდ მაშინაა კანონმდებლობით დადგენილი რეალობა, თუ საქმის განხილვის პროცესში მხარეებმა არ ისარგებლეს ან არ დადგა შუალედური განჩინებების გასაჩივრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. კერძო საჩივრის ინსტიტუტის ერთჯერადად გამოყენების შემთხვევაში კანონით შემოთავაზებული დავის განხილვისათვის დადგენილი ვადა მინიმუმ 2 თვით იზრდება.

გარდა იმისა, რომ 21 თვის განმავლობაში ბიზნესიც და მოქალაქეც რჩება გაურკვეველ ვითარებაში, ეს ფაქტორი იმთავითვე უარყოფითად მოქმედებს საქმიანი ურთიერთობების პერსპექტივის განსაზღვრაზე.

ასევე, საგულისხმოა დავის პროცესში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტორი. თავისთავად სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპის რეალიზება მოხდეს. რა თქმა უნდა მართლმსაჯულება რეალურ ცხოვრებაში სამართლის აღსრულებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და ამის გარეშე სამართალწარმოება აზრს დაკარგავდა, მაგრამ ეს არის მედლის ერთი მხარე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, როგორც წესი, ხდება დავის წარმოების საწყის ეტაპზე და მისი გამოყენების აუცილებლობა დასაბუთებული, მაგრამ მაინც ვარაუდის სტანდარტით განისაზღვრება. ვარაუდი კი, შესაძლოა არ გამართლდეს და ამაში სასამართლო მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროს რწმუნდება. წარმოვიდგინოთ ვითარება, როცა სრულიად კანონიერად სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის შუამდგომლობა და გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება როგორცაა მოპასუხე საწარმოს ფულად სახსრებზე ან ქონებაზე ყადაღის დადება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე მოკლებულია შესაძლებლობას 21 თვის მანძილზე საკუთარი აქტივით მონაწილეობა მიიღოს სარფიან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. ის აუცილებლად განიცდის ზარალს და ის გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა ბიზნეს სუბიექტის გაკოტრების (ლიკვიდაციის) საფუძველიც კი გახდეს. ამიტომ, სწრაფ მართლმსაჯულებას და არა მხოლოდ ფორმალური ნიშნით დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. სასამართლოს დროული მოქმედება პრაქტიკული მნიშვნელობისაა და მასზეა დამოკიდებული ბიზნესის განვითარება. სასამართლო სწორედ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის თანამონაწილეა. გამართული სასამართლო სისტემა გარანტიაა იქმნებოდეს დოვლათი და ქვეყანა აღწევდეს ეკონომიკურ წარმატებებს.

სასამართლოს უფლება. არსებული საპროცესო რეგულაციები შემუშავებულია თითქმის 20 წლის წინ და დღევანდელ, აჩქარებულ ცხოვრების რიტმს ვეღარ პასუხობს.

ეს ვითარება მოქმედი კანონმდებლობის განუხრელად დაცვის პირობებში გვაქვს, თუმცა რეალობა კიდევ უფრო სავალალოა. უდავო ფაქტია, რომ სასამართლო კორპუსი არაა მზად დაიცვას მოძველებული საკანონმდებლო რეგულაციებიც კი და დადგენილ ვადებში სამართალწარმოების განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს. ჩვეულებრივ ამზად იქცა საპროცესო ვადების დარღვევა და აღარავის აქვს მოლოდინი, რომ ქართული მართლმსაჯულების შედეგების მიღება შესაძლებელია 19, 21 ან არც თუ იშვიათ შემთხვევებში 30 თვის განმავლობაში. უნდა ითქვას, რომ ჩვეულ პრაქტიკად იქცა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავის ორ წლამდე ვადაში განხილვა.

ამდენად, იმისათვის, რომ თანამედროვე გამოწვევებს ვუპასუხოთ უფრო მოქნილი და ეფექტური სისტემა გვჭირდება, რომელიც არამარტო უფლებათა დაცვის სწრაფ და საიმედო მექანიზმებს შექმნის, არამედ ქვეყანას მართლმსაჯულების კუთხით საინვესტიციო გარემოს თვალსაზრისით მყარ და საიმედო რეპუტაციას დაუმკვიდრებს. შესაბამისად, სისტემური ცვლილებების განხორციელება აუცილებლობად მიგვაჩნია.

#### **4. პრობლემის მოგვარების კონცეფცია**

კონცეფცია წარმოდგენილია თეზისების სახით და თვალსაჩინოებისათვის დართული აქვს სქემატური მასალა

##### **სისტემური პრობლემის ძირითადი არსის იდენტიფიცირება**

- 1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საქმის განხილვა და გადასინჯვა სავალდებულოა მინიმუმ ორი ინსტანციით განხორციელდეს. აღნიშნული პრინციპი ძირითადად სისხლის სამართლის საქმეებზე ვრცელდება, ვინაიდან სამართლის ეს დარგი პროცესუალური დაცვის მაღალი სტანდარტებითა და მექანიზმებით გამოირჩევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პრინციპის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგებში გამოყენება არცერთი საერთაშორისო აქტით არაა შეზღუდული. შესაბამისად ევროპის მრავალი განვითარებული ქვეყანა თავიანთ სასამართლო**

სისტემას ამ პრინციპის შესაბამისად ქმნის. ანუ ცალკეული კატეგორიის საქმეების ორ ინსტანციანი განხილვა სიახლეს არ წარმოადგენს თანამედროვე სასამართლო სისტემებისათვის.

2. სასამართლოში საქმეთა სხვადასხვა ინსტანციაში განხილვის შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ რაც შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ე.წ. სასამართლო შეცდომის ალბათობა. თუმცა სხვა საპროცესო ინსტიტუტებიც ასრულებენ შეცდომის არსებობისას მათი გამოსწორებისა და აღმოფხვრის ეფექტიან მექანიზმებს (თუნდაც ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებათა ინსტიტუტების სახით).

ქართულ სინამდვილეში ამ თვალსაზრისით სამ ინსტანციანი სასამართლო სისტემა გვაქვს კანონმდებლობით შექმნილი. ესენია: პირველი ინსტანციის, აპელაციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები.

#### *იხ. საერთო სასამართლოების არსებული სისტემის სქემა N1*

არსებული პრობლემის მოგვარებისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფის გზა, სწორედ ამ პრინციპის მაქსიმალურად გამოყენებაში უნდა ვეძიოთ. მხედველობაში გვაქვს საქმის ორ ინსტანციანი განხილვის შესაძლებლობა. შესაბამისად ჩვენი სასამართლო სისტემა უნდა გახდეს მოქნილი, რომელიც ერთდროულად უპასუხებს ჩვენი ქვეყნის სამომავლო ამბიციურ პროექტებს და იმავდროულად დამოუკიდებელ, ხარისხიან და სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს.

3. ამ მიზნით, უნდა შეიქმნას ახალი სისტემა, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება და არა პირიქით, საპროცესო სამართლის პრინციპების უგულებელყოფის ხარჯზე მოვახდინოთ, ხელოვნურად შექმნილი კრიზისის ერთჯერადი და დროებითი გადაწყვეტა.
4. საქართველოში არსებული სასამართლო სისტემა სამართლის დარგების მიხედვით 3 კატეგორიად (ნაწილად) იყოფა: 1.სისხლის სამართლის საქმეთა; 2 ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა; და 3. სამოქალაქო სამართლის საქმეთა კატეგორიები. მართალია, სხვა ქვეყნებში არსებობს ისეთი სისტემები, რომლებიც სპეციალიზირებულ სასამართლოებს ითვალისწინებს, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, ამ ეტაპზეც და უახლოეს პერსპექტივაშიც სისტემის ამ კუთხით ფორმირება გამართლებულად არ მიმაჩნია.

5. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული სისტემის შეცვლა და მისი მაქსიმალურად ორ ინსტანციან სასამართლო განხილვის პრინციპზე აგება.

სისხლის სამართლის საქმეებზე მიზანშეწონილი იქნება მოქმედი სამ ინსტანციანი სისტემის შენარჩუნება. (ვინაიდან ამ კატეგორიაში საქმეთა სიმრავლის თვალსაზრისით განსაკუთრებულად რთული მდგომარეობა არ შეინიშნება და უფლებათა დაცვის მეტი გარანტიებიც არსებობს).

რაც შეეხება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართლის დარგებს, თითოეული მათგანი უნდა დავყოთ (დავაჯგუფოთ) საქმეთა კატეგორიების მიხედვით, რომელთა გარკვეული ნაწილი ძველებურად დაექვემდებარებიან სამ ინსტანციან სასამართლო განხილვას, ხოლო უდიდესი ნაწილი ორი ინსტანციანი განხილვით დასრულდება. (შენიშვნა. ეს პრეცედენტი ქართულ სინამდვილეში დღესაც არსებობს. კერძოდ, ცალკეულ საქმეებზე ჩვენ გვაქვს ორ ინსტანციანი განხილვა, მაგალითად საარჩევნო დავები და სხვა)

### **ახალი სისტემის შექმნა**

1. მხარეებმა ყველა დავის წამოწყება უნდა დაიწყონ პირველი ინსტანციის სასამართლოს მეშვეობით. I ინსტანციას მოქმედი სისტემის მიხედვით წარმოადგენენ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოები.
2. ორ ინსტანციურად საქმეთა განხილვის კონცეფციაზე გადასასვლელად, აუცილებლად მიგვაჩნია დამატებით შევქმნათ ორი ახალი I ინსტანციის სასამართლო - **სამხარეო სასამართლოების** სახით, რომელთა სამოქმედო ტერიტორიები, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების შესაბამისად განისაზღვრება (ანუ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოების ადმინისტრაციულ ტერიტორიული საზღვრებით).

#### ***იხ. ახალი სისტემის სქემა N2***

3. თითოეულ სამხარეო სასამართლოში უნდა შეიქმნას ორი პალატა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კატეგორიების მიმართულებით.

#### ***იხილეთ სამხარეო სასამართლოების სისტემის სქემა N3***

4. ორივე სამხარეო სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისათვის 60 მოსამართლე სრულიად საკმარისი იქნება (შენიშვნა: თუმცა ეს საკითხი კონცეფციის საკანონმდებლო სახით დამუშავებისას უნდა იქნას ზედმიწევნით შესწავლილი და გადაწყვეტილი)



5. სამხარეო და რაიონულ სასამართლოების განსჯადობა უნდა განისაზღვროს დავის საგნის ღირებულების მიხედვით ანუ გვარეობითი (საგნობრივი) განსჯადობის შესაბამისად. პირობითად 300 000 ლარის ოდენობით (შენიშვნა: დავის საგნის ღირებულების განსაზღვრაც ამ საკითხის კანონპროექტების დონეზე დამუშავებისას უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთებით გადაწყვეტილი).
6. სამხარეო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება უნდა მოხდეს პირდაპირ საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
7. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებები გასაჩივრდება სააპელაციო წესით და მათი განხილვა საბოლოოდ დასრულდება შესაბამის სააპელაციო სასამართლოებში.

### **სამოქალაქო საქმეთა დაჯგუფება საგნობრივი განსჯადობის მიხედვით**

სამოქალაქო დავები შედგება ქონებრივი და არაქონებრივი დავებისაგან. ქონებრივი დავების გამიჯვნა (დაჯგუფება) უნდა მოხდეს დავის საგნის ღირებულების მიხედვით. საპროცესო სამართალში ამგვარი გამიჯვნა გვარეობითი ანუ საგნობრივი განსჯადობითაა ცნობილი და მრავალ განვითარებულ ქვეყანაშია აპრობირებული.

დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის მიხედვით უნდა მოვახდინოთ ორ ინსტანციაში განსახილველ საქმეთა კატეგორიების გამიჯვნა. პირობითად 300 000 ლარი (შენიშვნა: პირობითად, რადგანაც საჭიროა ამ ნიშნით სტატისტიკის დამუშავება და გადაწყვეტილების შესაბამისი ანალიზის საფუძველზე მიღება).

რაც შეეხება, იმ სამოქალაქო საქმეთა კატეგორიებს, რომლებიც კვლავაც სამ ინსტანციან განხილვას უნდა დაექვემდებაროს უნდა დავაჯგუფოთ სათანადოდ დასაბუთებული პრინციპების მიხედვით. კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, სამ ინსტანციან განხილვას უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დავები, რადგანაც ამ დავების განხილვის ვადა ზემოხსენებული ნორმის თანახმად 1 თვეს შეადგენს.

#### 1. ესენია:

- ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებული საქმეები;

- დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეები;
- შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები;
- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავები;

2. ასევე, ისეთი საქმეები, როგორცაა:

- დისკრიმინაციის შესახებ;
- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავები;
- პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ დავები;
- საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები;
- ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საქმეები;
- განქორწინებისა და ბავშვის მიკუთვნების თაობაზე დავები;
- და სხვა არაქონებრივ სამართლებრივი დავები.

(შენიშვნა: ამ კატეგორიის ზედმიწევნით განსაზღვრა შესაძლებელი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადებისას)

აღნიშნულ ჯგუფში ჩამოთვლილია ისეთი საკითხები, რომელთა დაცვაზე სახელმწიფოს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია, რომლის უზრუნველყოფისთვისაც თვით სამოქალაქო სამართალწარმოების დისპოზიციურობის პრინციპიც კი შეზღუდულია ცალკეულ შემთხვევებში ე.წ. „ოფიციალურობის“ პრინციპით. მაგალითად, როდესაც ბავშვის უფლების დასაცავად სავალდებულო ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა, მტკიცებულებების სასამართლოს ინიციატივით გამოთხოვა და ა.შ.)

### **ადმინისტრაციულ საქმეთა დაჯგუფება საგნობრივი განსჯადობის მიხედვით**

ადმინისტრაციულ სამართლის საქმეთა კატეგორიის დაჯგუფება დავის საგნის ღირებულების მიხედვით შედარებით რთულია, რადგანაც სამწუხაროდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა საქართველოში ჯერაც არ განხორციელებულა და ეს ერთადერთი დარგია, რომელიც საბჭოური მემკვიდრეობის გადმონაშთს წარმოადგენს. ვისარგებლებ შემთხვევით და მოგახსენებთ, რომ აღნიშნული რეფორმა უმოკლეს დროშია განსახორციელებელი, მითუმეტეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უკვე მომზადებულია ძალიან საინტერესო და პროგრესული კანონპროექტი.

მიუხედავად ამ სირთულისა, დავის საგნის ღირებულების მიხედვით რაიონულ და სამხარეო სასამართლოებს შორის განსჯადობა შესაძლოა განვსაზღვროთ

პირობითად. კერძოდ, ისევე როგორც სამოქალაქო სამართლის საქმეთა შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულების მიხედვით (პირობითად 300 000 ლარის ოდენობით) უნდა გავმიჯნოთ ცალკეული კატეგორიის საქმეები, რომლებიც დაექვემდებარება ორ ინსტანციან განხილვას. ესენი შეიძლება იყოს ისეთი საქმეები, რომლებშიც სახელმწიფო მონაწილეობს, როგორც ფინანსური სანქციის დამდგენი სუბიექტი. მაგალითად:

- საგადასახადო დავები;
- გარემოსდაცვითი სფეროდან წარმოშობილი საქმეები;
- კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციასთან დაკავშირებული საქმეები;
- სამშენებლო ნორმების დარღვევიდან გამომდინარე დავები და ა.შ.

(შენიშვნა: ანუ ისეთი კატეგორიები, რომლითაც სახელმწიფო სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს სანქციის სახით ჯარიმას უწესებს ან ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სხვადასხვა სფეროში დაშვებული დარღვევებისათვის)

რაც შეეხება, სხვა საქმეებს, მათ შორის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებულ დავებს (ადმინისტრაციული აქტების ბათილობა, აქტის ძალადაკარგულობასთან დაკავშირებული საქმეები) ჩვეულებრივად უნდა დაექვემდებაროს სამ ინსტანციან განხილვას.

### კასაციის ფუნქციები და როლი ახალ სისტემაში:

1. ახალი სისტემა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებსა და არსს არსებითად არ ცვლის, თუმცა არაკონცეფტუალური (ცალკეული) ცვლილებების განხორციელება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.
2. საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის სამხარეო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებით დადგენილი დავის ფაქტობრივი გარემოებები ისევე სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებების შემთხვევაში არსებობს.
3. იმისათვის, რომ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მაღალ ლეგიტიმაციასთან გვექონდეს საქმე (შეცდომის ალბათობის მინიმალიზაცია მოვახდინოთ), სამხარეო სასამართლოებში საქმეთა განხილვა სასურველია კოლეგიური შემადგენლობით განხორციელდეს.
4. საკასაციო ინსტანციის სასამართლომ სამხარეო სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ შეტანილი საჩივრები ყველა შემთხვევაში არსებითად უნდა განიხილოს, თუმცა ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის დისკრეციული უფლების შენარჩუნების აუცილებელი შესაძლებლობით (ანუ

სამხარეო სასამართლოების განსჯად საქმეებთან დაკავშირებული საჩივრები კასაციაში დასაშვები იქნება, იმისათვის რომ სასამართლო შეცდომის აღბათობა კიდევ უფრო შევამციროთ. აღნიშნული არ გადატვირთავს კასაციას, ვინაიდან დიდი რაოდენობა საქმეებისა სააპელაციო დონეზე დასრულდება და უზენაეს სასამართლოში ვეღარ მოხვდება).

### **ახალი სისტემის დადებითი მხარეები:**

1. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა სამ ინსტანციანი განხილვის მინიმუმ 21 თვიანი დროის მონაკვეთი მცირდება 11 თვემდე;
2. საქმეთა განხილვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვის რეალურ შესაძლებლობას იძლევა;
3. სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია დავის საგნის ღირებულების ცვლილებით (ახლებურად განსაზღვრით) არეგულიროს საქმეთა ნაკადი და ამით დააზღვიოს სასამართლოები გადატვირთულობისაგან;
4. მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებისა და ზოგადად ეკონომიკურ ურთიერთობების მნიშვნელოვნად გააქტიურების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დამატებით სამხარეო სასამართლოების შექმნა შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრით;
5. წარმოდგენილი სისტემა (20-25 წლიან) გრძელვადიან პერსპექტივაში აგვარებს სწრაფი მართლმსაჯულების პრობლემას და იძლევა მისი მართვის მარტივ (უმტკივნეულო) შესაძლებლობებს;
6. წარმოდგენილი სისტემა აიაფებს მართლმსაჯულებას, სასამართლო ხარჯების თავისთავად შემცირების გზით;
7. წარმოდგენილი სისტემა იძლევა შესაძლებლობას ე.წ. კომერციული დავების იდეა მასში ინტეგრირდეს.

### **ახალი სისტემის სუსტი მხარეები:**

1. ორ ინსტანციანი სისტემით საქმეთა განხილვის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელისშემშლელი ფაქტორი, იმდენად, რამდენადაც ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობის დავები შეიძლება საბოლოოდ სხვადასხვა ინსტანციებში დასრულდეს.

ხსენებული უარყოფითი მხარის საკონპესაციოდ შესაძლებელია ორი ღონისძიების გატარება:

- ❖ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ფუნქციები, როლი და შემადგენლობა უნდა გაფართოვდეს. პლენუმის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ სააპელაციო და სამხარეო სასამართლოების თავმჯდომარეები. პლენუმზე ინტენსიურად უნდა ხდებოდეს სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და რეკომენდაციების - ე.წ. „სახელმძღვანელო პრინციპების“ შემუშავება.
- ❖ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 402<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის შესაძლებლობის მსგავსად, სააპელაციო სასამართლოებს უნდა მიეცეთ ანალოგიური საკონსულტაციო დასკვნისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა.

### რეკომენდაციები

1. სამხარეო სასამართლოების შექმნა, მისი სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრა, მასში კოლეგიებისა და კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით, შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც დადასტურდა არსებული პრობლემა არ ეხება მხოლოდ სასამართლო სისტემას და არც მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსაგვარებელია. მართალია ხელისუფლების ეს შტო დამოუკიდებელია, თუმცა მთელი სახელმწიფოს ვალდებულებაა დღესაც და მომავალშიც მაქსიმალურად აკონტროლოს სისტემის გამართულად მუშაობა (დავაზუსტებთ: სისტემის და არა კონკრეტული საქმეების).
2. სამხარეო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა იყოს სააპელაციო საჩივრის ოდენობის შესატყვისი (იდენტური). კერძოდ, მის განსჯად საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა შეადგენდეს დავის საგნის ღირებულების 4%-ს. ამით მოვახდენთ მხარეების მიერ დავის საგნის ხელოვნურად გაზრდის ერთგვარ პრევენციას.
3. უნდა გადაიხედოს გაერთიანებულ რაიონულ/საქალაქო სასამართლოთა გადაწყვეტილება და ზოგიერთი მაგისტრატის სასამართლო ჩავანაცვლოთ ახალი რაიონული სასამართლოთი (მაგალითად, შეიძლება შეიქმნას ახალი რაიონული სასამართლო, რომელიც გააერთიანებს რამოდენიმე მაგისტრატ „სასამართლოს“ საქმეთა რაოდენობისა და ტერიტორიული ფაქტორის გათვალისწინებით).

4. უნდა გამოირიცხოს ყველა ის სუბიექტური ფაქტორი, რაც არსებული პრობლემის შექმნის მიზეზი გახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი იდეა განწირულია წარუმატებლობისათვის.


წარმოდგენილი კონცეფციით დაინტერესების შემთხვევაში, გამოვთქვამთ მზადყოფნას წარმოგიდგინოთ საკანონმდებლო პროექტების სრული პაკეტი და თითოეული გადასაწყვეტი საკითხის დასაბუთება.

ვახტანგ მჭედლიშვილი


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

02.12.2012.

საერთო სასამართლოების არსებული სისტემა  
სქემა N1



## ახალი სისტემის სქემა N2





## სამხარეო სასამართლოების სისტემის სქემა N3

